

თამაზ გოდერძიშვილი

გადმოქართულებული კიესები



გამომცემლობა „კონტაქტი“
თბილისი
2020

პარბად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო!

(„კურდღლის“ მიხედვით)

მოქმედი პირნი:

გიორგი შანშიაშვილი – ადვოკატი, 35 წლისა

თამარი – ამისი ცოლი, 25 წლისა

ბაბაღე – თამარის დედა

ანო – თამარის და, 22 წლისა

სიმონ დრაგაძე – გიორგის მეგობარი

ჩიტუნია – ახალგაზრდა ქვრივი

ძაბული განუგრავა – ამისი დეიდა

ბუკუ – ცხენებით მოვაჭრე

ლისტენშტეინი – ექიმი

მაშო – შანშიაშვილების მოახლე

ნენა – განუგრავეების მოახლე

I და III მოქმედება შანშიაშვილებისას

II მოქმედება განუგრავეებთან

გასული საუკუნის დასაწყისი

პირველი მოქმედება

გიორგი მანშიაშვილის სამუშაო ოთახი. მაყურებელთა პირდაპირ ორი კარია: ერთი – საზოგადო შემოსასვლელი, მეორე – სასტუმრო ოთახში შესასვლელი. მაყურებელთაგან მარჯვენა კედელშიც ორი კარია დატანებული: სიღრმეში – სტუმართა ოთახში შემავალი, რამპისკენ კი – ბავშვთა ოთახში; მარცხენა კედელში დატანებული კარი მანშიაშვილების საწოლში შევიყვანთ. რამპის სიახლოვეს ფანჯარაა. ფანჯარასთან საწერი მავილა დგას. მარჯვნივ, კართა შუა, პატარა მავილაა. მავილაზე წყლით სავსე დოქი და სხვადასხვა ნივთია.

ფარდა რომ იხსნება, ისმის ბაბაღეს ხმაძალალი და უსძენო სიძღერა ფორტეპიანოს თანხლებით, რომელსაც ბოლო არ უჩანს. საწოლი ოთახიდან გამოდის და საწერ მავილასთან მიიღებს გიორგი, რაღაცას ეძებს, ვერ პოულობს. გამწარებულია.

გიორგი – რა იქნა? სად წავიდე? ძილის წინ აქ არ დავდე? საგანგებოდ ზემოდან დავდე, ამ დილით რომ არ დამვიწყებოდა! იცი, რას ვიზამ? აქაურობას ცეცხლს წავუკიდე და ნავთს გადავასხამ! არა, ჯერ ნავთს გადავასხამ და მერე ცეცხლს წავუკიდე! (ბავშვის ოთახისაკენ) ესეც რომ არა ჩერდება! ეს მოძღერალი ესა? ეს რიგოლეტო! ნამდვილად მაგისი ამბავია! ეჭვიანობის ნიადაგზედ, სასიყვარულო ბარათის პოვნის იმედით, სულ აქოთებს და ურევს აქაურობას. ცოლი რომ შემხვედროდა ეჭვიანი, კიდევ ჰო, მაგრამ სიდედრი? თანა ესეთი? სუფთა გიჟი! სუფთა რიგოლეტო! (ყვირის) მაშო! მაშო! (შემორბის მოახლე, ბავშვის კარზე უთითებს) უთხარი გაჩუმდეს! (მაშო შერბის ოთახში. სიძღერა ძლიერდება) უხ, შენი!! თამარ, თამარ! (უფრო ხმაძალა) თამარ!! (პასუხი არ ისმის. იღებს ზარს და, რაც ძალი და ღონე აქვს, რეკს. ამ ხმაურზე სიძღერა შეწყდება. საბავშო ოთახიდან გამოდის ბაბაღე)

ბაბაღე – (გამოსვლისას) ახლავე მოვალ, ბებო გენაცვალოს, ახლავე. ერთი ვნახამ, ვინ უზრდელი და პირუტყვი აჟღერიალებს აგრე ხმამაღლა ზარებს და ახლავე მოვალ. (გიორგი ზარის ხმაურში ვერ ვაივონებს სიდედრის შემოსვლას და რეკას ვანავრძობს) გიორგი! (არ ესმის. ყვირის) გიორგი! რა ამბავია? აგრე რად არისხებ ზარსა? ოსმალო ხომ არ დავგვესხა?

გიორგი – *(ვონს მოეგება. სიდედრს ეახლება და ხელზე კოცნის)*
დილა მშვიდობისა, დედა! როგორ გეძინათ?

ბაბაღლე – *(თავზე კოცნის)* კარგად, გმაღლობთ. *(მკაცრად)* რა იყო, გიორგი, გეთაყვა? ბავშვი ძლივს დავამშვიდე და ზარის ხმაზე ისევ შეშინდა. რა გნებავთ? ჩაი? თუ ყავა?

გიორგი – არც – ერთი, არც – მეორე. ოღონდ, ამას კი მეთათსევეერა გთხოვთ გულმოდგინებით: ფორტეპიანოს ნუ მიფუჭებთ, საშინლად ნუ ჰკვივით და, რაც მთავარია, ბავშვს სმენას ნუ უმახინჯებთ.

ბაბაღლე – როგორ ვერ უნდა შეიგნოთ, რომ თქვენი შვილი, თქვენი ანანო მთხოვს... პირადად თქვენს საამებლად ხმასაც არ ამოვიღებდი.

გიორგი – ბავშვი სულელია, თორემ თქვენი ვოკალი მოეწონებოდა?!

ბაბაღლე – ვინ არის სულელი? ჩემი ანანო? ახლავე მამამისზე მეტი ჭკუა აქვს.

გიორგი – თუ მოამთავრევით სათქმელი, კარგად ბრძანდებოდეთ; ხომ იცით, მაინცდამაინც არ შეამება თქვენთან საუბარი.

ბაბაღლე – სიმართლის მთქმელი ვის უყვარს? განსაკუთრებით, ადვოკატებსა გძულთ სიმართლის მთქმელი კაცი.

გიორგი – მართალსა ბრძანებთ... ოღონდ მიბრძანდით და აგრე იყოს. კიდევ ერთხელა გთხოვთ უმორჩილესად: ფორტეპიანოს ნუ მიფუჭებთ, ნუ ხმაურობთ და, საერთოდ, მუშაობაში ხელს ნუ მიშლით... ქვეყნის საქმე მაქვს. *(საწერ მაგიდას მიუჯდება)* ეს პროცესი თუ წავაგეთ, შიმშილით ამოვწყდებით! საქმე მაქვს, საქმე!!

ბაბაღლე – *(საწერ მაგიდასთან კლიენტის ალავს ჯდება)* რას მეუბნებით?!... თქვენი საქმე საქმეა და ჩვენ სულ აღარაფერს ვაკეთებთ? ჩემს ცხონებულ მეუღლეს, კარგად მოგესხენებათ, თქვენზე დიდი თანამდებობა ეჭირა, მაგრამ ერთხელაც არ გაუბედნია აგეთი შენიშვნები. აი, ასრე რიგად მიუჯდებოდი ხოლმე და ჭკუას ვარიგებდი და ვლანძღავდი. სამი საათიც გასულა ამ სიამტკბილეში. ქანცი გაგვძვრებოდა ხოლმე ორივეს, მაგრამ არ მახსოვს, საქმე წაეგოს. სულ მოგებულში იყო!

გიორგი – *(წამოხტება)* დამანებებთ თუ არა თავსა?

ბაბაღლე – დიდის სიამოვნებით! *(ჯიბიდან ქაღალდის „ჩიტს“ ამოიღებს, გაშლის და დაიბურავს. წამოჯდება)* დიდის სიამოვნებით! *(ბავშვის ოთახისკენ მიდის)*

გიორგი – სდექ! *(ბაბაღე გაშეშლება)* ხელში რა გიჭირავთ?

ბაბაღე – ჩიტი!

გიორგი – რა ჩიტი?

ბაბაღე – ბავშვმა გამიკეთო და..

გიორგი – ეგ ქალაღი სად აიღეთ?

ბაბაღე – ამ მაგიდაზე იღო საჩენ ადგილას და თვალში მომხვდა. თანაც ხომ იცით, ჩიტს ოღნავ მომხვილო ქალაღი უღდა, უფრო კარგად კეთდება და ჰაერსაც მარჯვედ მიაპობს.

გიორგი – *(ძივარდება, გამოვლევს, ასწორებს)* მთელი დიღაა ამას ვეძებ!! გენერალ არღუტინსკის აღმასრულებელი ქალაღი! *(ისტერიკაშია)* ეს რომ დაკარგულიყო, სამი ათას მანეთ ჯარიმას გაღამახდევინებდენ, მეძრე სამსახურიღან დამითხოვდენ და დავიღუპებოღით!

ბაბაღე – *(ზიზღით)* მაშ, მამა ხარ შენა? მამა ხარ შენა? ღმერთო, შვილისათვის ქალაღდის ნაგლეჯი არ ეძებება! ეს რა კაცია, ეს ვინ შემოვითესლეთ ჩვენს უმწიკვლო გვარშია?! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ფუი, შენს კაცობას! *(გარს გაიჯახუნებს თუ არა, ისევ „აძღერდება“)*

გიორგი – ვაიმე! თუ მომკლავს, ეს მომკლავს!! *(ყვირის)* მიშველეთ! მიშველეთ! თამარ! თამარ! თამარ! *(ზარს სასოწარკვეთით რეკავს)* მიშველეთ! *(სიძღერა ძღიერდება)* თამარ! *(შემოღის თამარ)*

თამარ – რა მოხდა, ჩემო სიცოცხლე?

გიორგი – სადა ხარ, კაცო? როცა მჭირდები, ვერასოდეს გიპოვნის კაცი!

თამარ – მაშ, მე საყვეღური მეთქმის? დიღა უთენია წამოვდექ, მაშოსაც არ ვენდე და თვითონ ვუღაგებ შენს მეგობარს სასტუმრო ოთახს. თუ ღაგავიწყდა, რომ დღეს შენი თანაგიმნაზიელი სიძონ ღრაგაძე ჩამოღის?

გიორგი – დამავიწყდა, აბა რა იქნებოდა! *(ბავშვის ოთახზე)* ამის გაღამეღეს დამავიწყდებოდა, მაშ, როგორ? ძალიანა გთხოვ, გამიჩრე ეგ რიგოღეტო!

თამარ – *(გაკვირვებული)* აბა რიგოღეტო? ვისზე მეუბნები, გიორგი?

გიორგი – ვისზე და ჩემს სიღედრზე, თქვენს დეღაზე! ხვალ დიღით ძღიერი პროცესი მაქვს სასამართლოში, უღდა ვიმუშაო, პირნათღად უღდა მოვემზადო და დეღაშენი კი... გესმის, რა ამბავშია?

თამარ – ნუ ჯავრობ, ჩემო სიცოცხლე, ახლავე გაჩუმდებიან.

(ბავშვის ოთახის კართან მივა, გამოაღებს და რაღაცას იტყვის. ხმაური წამსვე შეწყდება) ხედავ? გაჩუმდნენ!

გიორგი – მადლობა ღმერთს! *(ქაღალდს გაუწვდის)* ახლა ეს ქალაღლი გამომართვი და მაშოს უბრძანე დააუთოს.

თამარ – უთოთი?

გიორგი – უთოთი, უთოთი და შეაგნებინე არ დასწვას თორემ... ეგ გენერალ არღუტინსკის აღმასრულებელი ქალაღლია და ხუთი ათასი ღირს.

თამარ – ხუთი ათასი?

გიორგი – ღიას, და ამღგარა ეგ მშვენიერი რიგოღლეტო... ფუი... ეგ მშვენიერი ღეღაშენი, აუღია ეს ქალაღლი ჩემი მაგიღლიდან და ანანოსთვის ჩიტი გაუკეთებია...

თამარ – ოხ, რა ხეღმარჯვე ქალია! გაღამრევეს, პირღაპირ!

გიორგი – შენ კიღევე მე გაღამრევე, ჩემო სიცოცხლე! ჯერ სამსახურიღდან მომხსნიღდნენ, მეღმრე მაგის ღირებუღლებას გაღამახღვევინებღდნენ და რომ ვერ მივართმეღვღდი, ვირის აბანოში მიკრავღდნენ თავსა. და ყვეღაღფერი რიგოღლეტოს გუღლისთვის!!

თამარ – კარგი ერთი, ნუ გიყვარს გაზვიადებანი... ხეღავ, ქალაღლი აქ არის და ახღავე ისე მოვარჯუღლებ, ახაღზე უკეთესად მოგეჩვენოს. რაც შეეხება ირონიებსა... ჰო, ჩემო სიცოცხლე, რაც შეეხება ირონიებსა, ვკონებ, ამას ღეღაჩემი არ იმსახურებს... განსაკუთრებით, შენგან... ხომ იცი, როგორ უყვარხარ... ჩვენი ბეღნიერება უნღა, მეტი რა რჯის?

გიორგი – კარგი ერთი, ნუ გაღამრევე კაცი! მე ვუყვარვარ? ვუყვარვარ კი არა, შემჭამა თავისი ეჭვიანობით. საკუთარ სახღლში ფეხი ვერ გაღამიღგამს, უკან არ გამომყვეს. ყოვეღღღლე მაგიღდასა და ჯიბეებს მიჩხრეკამს. ტვიღლისში ყვეღაზე გახრწნიღლი, გათახსირებუღლი და უსინღდისო მუსუსი ვკონივარ. თამარ, სიცოცხლე, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, ხომ იცი, შენს მეტი არავინ მაბაღღია ამ ქვეყნად, ხომ იცი, შენთვის სიკეთის მეტი არა მიღნღა რა და მიინც ღეღაშენს აჰყოღღიხარ?

თამარ – აყყოღღივარ კი არა... ვხეღავ, როგორა ზრუნავს ჩვენი ოჯახისათვის და ხანღახან, ამას გაგიმეორებ, ხანღახან მის რჩევისაღც ვითვაღღისწინებ.

გიორგი – მაგალითად, რომელ რჩევის?

თამარ – აი, მაგალითად, მირჩევს, თუ გინდა ბელნიერი ოჯახი გქონდეს, მეუღლე კაბაზედ უნდა გამოიკერო!!

გიორგი – აგაშენა ღმერთმა!

თამარ – მართალიც არის. ასე უფრო მშვიდადა ცცხოვრობ. შეგახსენებ, მე დედაჩემზე ეჭვიანი ვარ... დედაჩემის ეჭვი ჩემთან რა მოსატანია?! ეჭვს თუ ავეყვი, ჩემი დამბმელი აღარ მეგულების. ახლა მიპასუხე, რა მოხდება, ოდნავ თუ აგიშვი და შენი ბორკილი ავარღვიე ჩემი კაბიდან? რა და: მე ხომ გამიმწარდებოდა და გამიმწარდებოდა ცხოვრება და შენც კარგ დღეში მეყოლებოდი... სიცოცხლეს გაწყველინებდი!! ამჟამად ეს ყველაფერი არ გვემუქრება, პირიქით, უზომოდ გვიყვარს ერთმანეთი... ხომ მართალია? *(მონოლოგით დამტკბარი გიორგი გატრუნულია)* ხომ ისევ ისე გიყვარვარ? ხომ გიყვარვარ, ჩემო სიცოცხლე? *(ეფერება)*

გიორგი – ამას კითხვები რად უნდა?

თამარ – და ძალიან გთხოვ, ახლავე გამომიტყდი: დედაჩემზე ასე ცუდად მხოლოდ იმ დროს ლაპარაკობ, როცა უგუნებოდა ხარ? ხომ მართალია?

გიორგი – *(მოფერებით გაგუღული)* რა ბორკილები, რის ხუნდები? ჩემი ბორკილი ვერცხლისაა. არა – ოქროსი, არა – პლატინისა, ბრილიანტებით მოოჭვილი პლატინისა. *(ჰკოცნის. ისმის შუშის მსხვრევის საზარელი ხმა. შეტერთალი)*. კიდევ რა მოხდა?

მამო – *(შემობის)* პატარა ქალბატონმა...

თამარ – *(ისტერიულად)* რა მოუვიდა? თავი გაიტეხა? თვალი ამოიგდო? თქვი, შე ენაბლუვ, რა დაემართა?

მამო – არა, ქალბატონო... დედათქვენმა ვენეციური საათის სიფრიფანა მინის თავსახური მისცა ჩიტის მაგივრად. ანანომაც გააფრინა და... თითი გაიჭრა...

გიორგი – ნახა სათამამო! ეგ საათი პაპაჩემმა ვენეციიდან 1798 წელს ჩამოიტანა.

თამარ – წამო, გიორგი ჩქარა! ჩქარა! ვენური ძარღვი არ იყოს გადაკვეთილი! ჩქარა-მეთქი, არ გეყურება, ადამიანო?

გიორგი – ერთ წამს არ მოასვენებთ კაცსა! საქმე მაქვს, ხალხო, საქმე! *(თამარი ხელს ჩაჰკიდებს და ძალით შეჰყავს ბავშვის ოთახში)*

მამო – ღმერთო, შენ გადაარჩინე პატარა ანანო! *(შემოდის სიმონ დრაგაძე. ჩემოდანს კედელთან დადებს)*.

სიმონ – გამარჯობათ!

მაშო – *(შეხტება)* გამარჯობათ, ბატონო!

სიმონ – დიდი ხანია ტფილისში კარს აღარ კეტავენ?

მაშო – დამევიწყებია, ბატონო!

სიმონ – ბატონები სადღა არიან?

მაშო – უბედურება მოხდა, ბატონო.

სიმონ – *(შეშვოთებით)* ვინმე გარდაიცვალა?

მაშო – არა, პატარა ქალბატონმა თითი გაიჭრა და იქ არიან.

მომიკვდეს თავი, ეგებ ვჭირდები და მე კი აქა ვგლიჯარ... ბოდიში, ბატონო. *(გარბის)*

სიმონ – წადი, გენაცვალე წადი... *(ოთახს ათვალიერებს)* რა მშვენივრად მოწყობილა ჩემი მეგობარი! ყოჩაღ, გიორგი, ყოჩაღ! ეტყობა, კარგი მზითვიანი ქალი შეხვდა! გემოვნებიანიც! ბინაც ლამაზად მოურთავთ! *(მავიჯას მიუჯდა)* ერთი ვნახოთ, რა საქმეებს იძიებს? „საქმე 201 დაქრთამვის გამო“. არ ვიცი, აქ როგორ არის, მაგრამ ჩვენთან, მარნეულში, ეს საქმე გვარიან შემოსავალს იძლევა. *(ჩუბად შემოიპარება ანო, გაიხდის ქურქს, მოიხდის შლაპას, ფეხაკრეფით მიეპარება სიმონ ღრავაძეს)* ძაან საინტერესო საქმე ჩანს, ძაან...

ანო – *(თავისთვის)* ჩაჰკირკიტებს თავის ქალაღებს და ქვეყნად აღარაფერი ესმის...ჩემი მოსვლაც კი ვერ გაიგო... *(თვალუბზე ხელებს აფარებს და ბოხის ხმით ეტყვის)* გამოიცან, ვინა ვარ!

სიმონ – გიორგი ხარ, ვინ იქნები!

ანო – *(ბოხად)* ვინაო, ვინაო!

სიმონ – *(სიცლით)* კარგი, მორჩი ერთი ზუმრობასა! ზომ გიცანი!

ანო – *(სახეზე შეხედავს შემცბარი)* ვაი! სხვა ყოფილა, მე კი გიორგი მეგონა! ეტყობა ვინმე კლიენტია, გაყრილი ქმარი, დაკარგული ვექსილი ან უიღბლო მემკვიდრე. რა მეშველება?

სიმონ – კარგია, კმარა, გიორგი. ზომ გიცანი და მეტი რა გინდა? *(ხელებს მოიშორებს და სავარძლიდან წამოხტება)* გიორგი, ძმაო! *(უნდა გადაეხვიოს)*. ვაი!

ანო – ვუი! *(განზე)* ნეტა მიწა გამისკდეს და თან ჩამიტანოს!

სიმონ – გეთაყვა, გიორგი მეგონეთ.

ანო – მეც გიორგი მეგონეთ! მაპატიეთ! მიყვარს ხოლმე ხანდახან აცუნდრუკება!

სიმონ – მეცა!

ანო – თქვენცა? კი მაგრამ, რამდენი წლისა ბრძანდებით?

სიმონ – ოცდათექვსმეტისა.

ანო – *(გაზვიადებით)* ოცდათექვსმეტისა? თუმცა ხანდახან ყველასთვის შეიძლება.

სიმონ – როგორ თუ ხანდახან?! უცოლო კაცი, როცა მოისურვებს, მაშინვე შეითამაშებს.

ანო – ეგ, უცოლო! თქვენ ხომ უცოლო არ იქნებით?

სიმონ – ძალიანაც უცოლო ვარ! არცა მყოლია! *(თავისთვის)* რა გოგოა! *(პაუზა)*

ანო – *(კეკლუცად)* ასე ხომ არ ვიდგებით?.. უნდა მოიფიქროთ და გამეცნოთ!

სიმონ – მართალსა ბრძანებთ. მომიტყევით... სიმონ დრაგაძე გახლავართ.

ანო – გიორგის გიმნაზიელი მეგობარი? მე კი გაპროტესტებული ვექსილი მეგონეთ და გებოდიშებოდით. *(რევერანსი)* ანო, თქვენი მეგობრის ცოლის დაი.

სიმონ – რას მეუბნებით?! როგორ გაზრდილხართ, როგორ გაზრდილხართ?!

ანო – თქვენ რა, ჩვილი მნახეთ?

სიმონ – არა, გიორგის წერილებიდან გიცნობთ.

ანო – დაბრძანდით.

სიმონ – გმადლობთ, მთელი ღამე არ დამეძინა დილიჟანსში.

ანო – *(სხეულით ისე მიაწვება, რომ სავარძელში ჩასვამს)* დაბრძანდით, როცა ქალი გთხოვთ!

სიმონ – *(უხერხული პაუზა)* ისე კი ძალიან გყვარებითაო...

ანო – *(აწყვეტინებს. მრისხანედ)* რა?

სიმონ – დახუჭობანა.

ანო – თქვენ არ გიყვართ? რა საოცრებაა, თვალახვეული მსხვერპლს რომ დასდევ...

სიმონ – *(გაბზე)* საოცრება და მშვენება თვითონ თქვენა ხართ!

ანო – რა ბრძანეთ? *(პასუხს არ უცდის)* თქვენ გიორგი უნდა ნახოთ, რა მარდია. მაგრამ იმასაც ვერ მივართვი, იშვიათად დამიჭერს ხოლმე...

სიმონ – როგორ, გიორგი დამალობანას თამაშობს?

ანო – შინიდან გარეთ ფეხს არ ვადგმევინებთ და ითამაშებს მამ, რას იზამს?!

სიმონ – ეგ რაღა უბედურებაა?!

ანო – დაქორწინდებით და სხვაგვარად იჭიკჭიკებთ.

სიმონ – *(დგება და ნერვიულ ბოლთას სკემს)* არა მგონია!
ანო – დამალობანასაც ითამაშებთ, დახუჭობანასაც და დაჭერობანასაც.
სიმონ – არა-მეთქი! არავითარ შემთხვევაში!!!
ანო – გთხოვთ, შეწყვიტოთ წინააღმდეგობა და დაბრძანდეთ. ვერ ვიტან, ოთახში ვინმე კედლის საათის ქანქარასავით რომ მიდომოდის... გიორგისაც უყვარდა, მაგრამ თამარმა გადააჩვია... თქვენც გადააჩვევთ... დაბრძანდით, რას შეშინდით, ჯერ ხომ ცოლს არ თხოულობთ?
სიმონ – *(დაჯდეს)* რასაკვირველია, არა!
ანო – მაშ, ნუღარ ღელავთ. სანერვიულო მაშინაც გეყოფათ, კაბაზე რომ გამოვიკერებენ. ტფილისში სამუდამოდ ჩამობრძანდით?
სიმონ – ეგრე ვფიქრობ.
ანო – მგონი, მათემატიკის მასწავლებელი ბრძანდებით, არა? ოხ, რა მწარედ მახსენდება ეგ თქვენი გამრავლების ტაბულა! ჩემ სიცოცხლეში მათემატიკის მასწავლებელს ცოლად არ გავყვები!
სიმონ – *(განზე)* ოხ, რა ანცია! *(ანო)* რატომ? რატომ?
ანო – იმიტომ, რომ მათემატიკოსები ადამიანები კი არა – ციფრები ხართ. გიმნაზიაში მათემატიკას ისეთი თვალებით შევხედავდი ხოლმე, კაცი რომ ყოფილიყო, სანთელივით დადნებოდა... ის კი, ერთიანი და ერთიანი, ერთიანი და ერთიანი. ორიც კი არ მაღირსა! უბედური მაგისი ცოლი! შინშემოსულს კისერზე სიყვარულით ეკიდება, ის კი: „შვიდჯერ რვა რამდენია? რვაჯერ-შვიდი?“
სიმონ – ხა-ხა-ხა! რა საოცრება ხართ? გინახავთ, ოდესმე, თქვენი მასწავლებელი შინ თავის ოჯახობას როგორ ეგებება?
ანო – არ მინახავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სალამის მაგივრად გამრავლების ტაბულას მიაწვება.
სიმონ – ასე იმიტომ მსჯელობთ, რომ ერთიანებს გიწერდათ?
ანო – აბა, რა! აი, თქვენ რომ გესწავლებინათ, ალბათ, სულ ხუთებს დამიწერდით. თქვენ კეთილი კაცი ხართ – თვალეზე გეტყობათ.
სიმონ – ცდებით. გაკვეთილს თუ ვერ ჩამაბარებდით, მეც ერთიანს მოგისჯიდით!
ანო – მე კი ვიმეორებთ, არ დამიწერდით!
სიმონ – დაგიწერდით, დაგიწერდით. მასწავლებელი აუცილებლად ობიექტური უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ მეუღლე ჰყავდეს

მშვიდად. აი, მაგალითად, მე მათემატიკის მასწავლებელი ვარ, თქვენ კი – ჩემი ცოლი...

ანო – ამას ვერ წაგართმევთ, მშვენიერი მაგალითების მოტანა გცოდნიათ.

სიმონ – სამწუხაროდ ეს მხოლოდ მაგალითია, თქვენ ხომ არასოდეს გააყვებით მათემატიკის მასწავლებელს?!

ანო – არავითარ შემთხვევაში!

სიმონ – განვაგრძოთ მაგალითი! ვბრუნდები გიმნაზიიდან შინა და მეუღლეს ვეუბნები: „ჩემო მზეო“...

ანო – უკაცრავად, უკაცრავად... ამ მზესა და მთვარეს ვერ ვიტან... თუ შეიძლება უბრალოდ: „ჩემო კარგო“.

სიმონ – თანახმა ვარ! ჩემო კარგო, დღეს კლიმიაშვილის ქალმა გაკვეთილი არ იცოდა, მაგრამ ისე ლამაზია, ისეთი თვალებით მიცქერდა, რომ უნებლიეთ ხუთიანი დაუწერე!

ანო – *(წამოიკვილებს)* იტყვი და არცერთი თვალი აღარ შეგრჩებათ! *(გონს მოეგო)* უკაცრავად... ამას თქვენი მეუღლე ამბობს.

სიმონ – *(განზე)* საოცრებაა, მაშ რა არის ეს ქალწული! *(ანოს)* ნუ დაიმორცხვით, მე ხომ შინაური ვარ.

ანო – მერე ვინ გიბრძანათ, რომ ემორცხვობ! *(შემოდის გიორგი)*

გიორგი – *(ხელს ვაშლის)* ამას ვის ვხედავ? სიმონ!

სიმონ – გიორგი! *(გადაეხვევიან)* ცოცხალი ხარ, ბიჭო?

გიორგი – როგორც ხედავ. *(ანოს)* სალაში, ცანცარ! ნება მიბოძე, წარმოგიდგინო...

ანო – ნუ შეწუხდები, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს.

გიორგი – დიდი ხანია?

ანო – საკმაოდ. უკვე ჩეთვერი იქნება საათისა, რაც ვსაუბრობთ.

გიორგი – ფრიად მემამა, ფრიად მემამა! *(სიმონს)* აბა, დაჯექ, მოჰყევი, გადმოაღაგე. მგონი, შვიდი წელია ერთმანეთი არ გვინახავს.

სიმონ – ჯერ ის მითხარი, შენი უბედურება როგორ დამთავრდა?

გიორგი – რომელი?

სიმონ – თქვენმა მოახლემ: ბაღმა თითი გაიკაწრაო.

გიორგი – იცინე, იცინე. იმასაც ვნახავ, ოჯახს რომ წამოიკიდებ, როგორ იმხიარულებ. მოვეშვით ამეებსა. აბა, როგორ ვიკითხოთ?

სიმონ – ვითომ არ იცოდე. აქამდე პროვიანციაში, იმ გადაკარგულ მარნეულში ვმასწავლებლობდი და ახლა ტფილისში ვაპირებ.

გიორგი – ძალიან კარგი. კვალიფიკაციას იმაღლებ თუ?..

ანო – *(აწვევებინებს)* მუდმივ იცხოვრებს!

გიორგი – შენ საიდან იცი?

ანო – მე ყველაფერი ვიცი, ისიც კარგად მომეხსენება, რომ სიმონ დრაგაძე ჯერ ცოლს შეირთამს და შემდეგ კლიმიაშვილის ქალს ხუთიანებს დაუწერს, ლამაზი თვალების გამოისობით.

სიმონ – ამას კი არა ვიქმ, ჩემო ანო.

ანო – არა? *(ძიუჯღღება)* მაინც, რომელ გიმნაზიაში აპირებთ მასწავლებლობას?

სიმონ – მხოლოდ ვაჟთაში.

ანო – გონივრული გადაწყვეტილებაა. მხოლოდ ვაჟთაში, ჩემო კარგო, თორემ ქალთა გიმნაზიაში ჯერ მოთმინებას დაკარგავთ, შემდეგ – გონსა და ხასიათიც სულ გაგიფუჭდებათ.

გიორგი – მორჩი სისულელის ტლიკინს! შენებურად ნუ აცანცარდები.

ანო – სისულელეო? ბატონო სიმონ, მართლა სისულელე ვთქვი?

სიმონ – პირიქით, პირიქით, ჩემის აზრით, ძალიანაც გონივრული რჩევაა.

ანო – აი, ხომ ხედავ! ის, რაც იურდიულად სისულელეა, მათემატიკურად ძალიანაც გონივრულია. აქედან ერთი უნდა დავასკვნათ: მათემატიკა იურისპრუდენციაზე მაღლა დგას. *(გიორგი და სიმონი იცინიან)*

გიორგი – კარგია, კმარა, მოგვეშივი, ცანცარ, გვალაპარაკე.

ანო – მოესწრებით...

გიორგი – *(აწვევებინებს)* წადი, სირცხვილია, საუზმე მაინც ვაჭამოთ კაცს.

ანო – საუზმედ საცაა დაგვიძახებენ. უნდა მოგიყვე, ბატონი სიმონი როგორც გავიცანი: დავბრუნდი გაკვეთილიდან და...

სიმონ – გაკვეთილიდან? რეპეტიტორთან დადიხართ? რას სწავლობთ? მათემატიკას ხომ არა?

გიორგი – მათემატიკას კი არა, ბოზბაშის გაკეთებასა სწავლობს.

სიმონ – რაო?

ანო – „კეთილშობილ ქალთა შორის ცოდნის გავრცელების საზოგადოების“ წევრი ვარ. ბოზბაშის გაკეთების გარდა, იქ კერვისა და ხატვის გაკვეთილებიცა გვაქვს. თუნდაც კულინარიას ვსწავლობდეთ, ცუდი რითია? აი, წარმოიდგინეთ, გავთხოვდი... *(სიმონს)* ასე რატომ მიყურებთ? თქვენ გგონიათ, ვერ გავთხოვდები?

სიმონ – ასეთი რამ არც მიფიქრია!

ანო – და ძალიანც კარგი! ჰო, რას ვამბობდი? დიახ გავთხოვდი. მოდის ქმარი ვაჟთა გიმნაზიიდან, მე კი აცრემლებული ვხვდები და ვეუბნები: ჩვენმა მზარეულმა ბოიკოტი გამომიცხადა და წავიდა. უსადილოდ დავგტოვა იმ რეგენმა, იმან! როგორი მოსასმენი იქნება ეს თქვენთვის, სიმონ, მშვიერი მასწავლებლისათვის?

სიმონ – კი, მაგრამ რატომ მაინცდამაინც ჩემთვის, ანო?

ანო – *(უკმაყოფილოდ გაეცლება)* უკაცრავად, მინდოდა მეთქვა, ჩემი მოძავალი მეუღლისათვის-მეთქი! ახლა კი ჩემმა მზარეულმა გინდ ბოიკოტი გამომიცხადოს და გინდ გაფიცვა. გავაგდებ, წინსაფარს ავიფარებ, ხელებს დავიკაპიწებ და ნახევარ საათში ბოზბაში მზად მექნება.

სიმონ – *(განზე)* გეუბნებით, თავს შემაყვარებს ეს ანგელოსი!

ანო – საკმარისია, რაიმეს მოვკრა თვალი და უკვე ვიძახსოვრებ. *(სიმონს)* ჩარლსტონი იცით? ორი გაკვეთილი არც დამჭირდა, ვისწავლე.

სიმონ – ჩარლსტონისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საზოგადოდ ვცემკვავ.

ანო – ბატონო სიმონ, ჩემო კარგო, ვიცეკვოთ რა!

გიორგი – ანო, სულ ნუ გადაირევი!

ანო – აქ ვერავისთან მიცეკვია, ყველა ცოლიანია, გიორგის თანაშემწეებიც კი. ვიცეკვოთ, რა...

სიმონ – თუ გესიამოვნებათ, შეიძლება.

ანო – *(გიორგის)* ძალიან მაინტერესებს, მათემატიკა როგორ ცეკვავს.

(სიმონს) გთხოვთ, ბატონო სიმონ.

გიორგი – ანო, მოეშვი, კაცი დაღლილია, მშვიერი!

ანო – იუსტიცია მათემატიკას ვერ უბრძანებს. მობრძანდით, ბატონო სიმონ! გთხოვთ, გემუდარებით! *(თან ძღერის და თან ისე გატაცებით ცეკვავს, რომ ვერ ამჩნევს შემოსულ დას და დედას და ეჯახება. ელდის პაუზა. ხელს უშვებს სიმონს და გარბის)*

სიმონ – *(თამარს და ბაბაღეს)* მაპატიეთ! უკაცრავად!

თამარ – ეხ, ანო, ანო... *(თავს დაუკრავს სიმონს)* ბატონი სიმონ ღრაგაძე, არა?

სიმონ – გთხოვთ, მიმსახუროთ!

თამარ – თქვენი თანაგიმნაზიელის მეუღლე. *(ხელს გაუწვდის, სიმონ ხელზე ეამბორება)* ანოს კი აპატიეთ... ახალგაზრდაა სიანციო მოსლის.

სიმონ – პირიქით, მოხარულიც ვარ. მშვენივრად ცეკვავს. *(ბაბაღეს)*
მომიტევეთ, მგონი, უნებლიეთ, მხარი გაგკარიოთ.

ბაბაღე – რა სათქმელია. ცეკვის დროს რა არ ხდება!

გიორგი – ქალბატონი ბაბაღე – ჩემი მეუღლის დედა!

ბაბაღე – მოხარული ვარ, რომ გაგიცანით. დიდი ხანია გელოდებით,
ბატონო სიმონ. ანომ ოთახიც მოგიმზადათ; მოახლეს არ ენდო,
ფარდებიც თავად ჩამოგიკიდათ და საწოლიც მოაწესრიგა.

თამარ – *(წყენით)* დედა! *(ჩუბად)* რა საჭიროა ეგ ტყუილები?

ბაბაღე – *(ჩუბადვე)* პირში ნუ მეჩრები, თუ შეიძლება *(სიმონს)*
დედა ვარ, არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ანოს ოქროს ხელები აქვს,
და დალაგებასა და ოთახის მოწყობაზე უფრო სამხარეულოში
ფუსფუსი მოსწონს.

გიორგი – ეგ უკვე იცის.

სიმონ – ბოზბაშის გაკეთებაც...

ბაბაღე – *(აწყვევტილებს)* თქვენ ჩიხირთმა უნდა იგემოთ... ღმერთს
კუმადლი, ასეთი ნიჭიერი რომ გამიჩინა... ნეტავი, მაგის ქმარს,
ბედნიერი იქნება! ეხ, კაცებო, კაცებო, რა ფასი გექნებოდათ
უქალებოდ? *(პაუზა)* დაბრძანდით ფეხზე რად დგებართ?

თამარ – დაბრძანდით. *(ხანგრძლივი პაუზა)* დიდად მოხარული ვარ,
ტფილისში რომ გადმობარგდით.

ბაბაღე – ძალიან, ძალიან მოხარული ვართ, მეც, თამარიც,
ანოც...

გიორგი – კარგია, კმარა, მოასვენეთ კაცი, უმჯობესია, საუზმის
თადარიგს ეწიოთ!

თამარ-ბაბაღე – *(ერთად)* ახლავე, ამ წუთას! ანო! მაშო! *(სხვადასხვა
კარში გაკლენ)*

გიორგი – მადლობა ღმერთს!

სიმონ – კარგად დაოჯახებულხარ, ბედნიერო! მშურს შენი. ცოლიც
კარგი გყავს, შვილიც ასეთივე იქნება. სიღედრსა და ცოლისდას
ხომ ნუ იტყვი: წყნარი, ტკბილი, თბილი ხალხია.

გიორგი – მართალი ხარ... მაგრამ კაცის გულს რა გაადლობს?

სიმონ – რამე გაკლია?

გიორგი – არა, ბედნიერი ვარ... თამარი ძალიან მიყვარს და იმასაც
გაგიჟებით ვუყვარვარ. მაგრამ...

სიმონ – ოხ, ეს მაგრამ!

გიორგი – ჩემი ცოლი ანგელოზია, მაგრამ დედა ჰყავს... გველი!

სიმონ – ამ უწყინარ ქალზე ამბობ გველიაო?!

გიორგი – მინდა იცოდე, თამარი ძალზე ეჭვიანია!

სიმონ – ახლა არ მითხარი, გაგიჟებით ვუყვარვარო? სიყვარული და ეჭვი?

გიორგი – ყველაფერი ბედნიერად აეწყობოდა, ჩემს სიდედრს რომ არ გაევიჟებინა. ჩაუჭედა – პატიოსანი ქმრები არ არსებობენ, ყველა მოღალატეა და ამ მოღალატეთაგან ყველაზე გათახსირებული მუსუსი აი, შენს წინა დგას!

სიმონ – ეტყობა, საბაბი მიეც!

გიორგი – რას ამბობ! ქორწინების პირველივე დღიდან არტახები მომიჭირეს. უბადრაგოდ ნაბიჯიც ვერ გადამიდგამს. სტუმრად ცოლი მომყვება, მაღაზიაში და მკერავთან – სიდედრი. თუ სასამართლოში მაქვს საქმე, ან ცოლი მომყვება, ან სიდედრი, ან ცოლისდა, გააჩნია, რომელია იმ დღეს თავისუფალი. პროცესი თუ მოვიგე, ჩემს მეთვალყურეთა ოვაციას ბოლო არ უჩანს. ნაფიც მსაჯულებს თუ წაგუტირე, რომელიღაც დამნაშავეს გადასარჩენად, ჩემზე ხმამალა ჩემი მეთვალყურეები ღრიალებენ...

სიმონ – მერე მაგას რა სჯობს!

გიორგი – ჯერ მათქმევინე: აი, აქ, შინაც მითვალთვალევენ. თუ საქმეზე ქალი მოვიდა, ჩემს ოთახში მოუნდებათ ქსოვა, კითხვა ან ქარგვა.

სიმონ – ეგ სიყვარულით მოსდით.

გიორგი – სიყვარულით, არა! სიდედრმა დაიფიცა, აუცილებლად დავემტკიცებ ჩემს თამრიკოს, რომ ყველა ქმარით გაფუჭებული მეუღლე ჰყავსო. თავად დამპალი და მოღალატე ქმარი გამოადგა და ჯავრს ჩემზე იყრის.

სიმონ – მერე, რა იქნა შენი წინააღმდეგობებით სავსე გული და მემბოხე გონება?

გიორგი – ვაპროტესტებდი, განა არ ვაპროტესტებდი, მაგრამ, რად გინდა? მე გული მისკდებოდა, ესენი კი ჩუმად იყვნენ. დავიღლებოდი, გავჩუმდებოდი და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ერთხელ, ორჯერ, ასჯერ, ათასჯერ... ხელი ჩავიქნიე და გავჩუმდი.

სიმონ – ესე იგი, დანებდი?

გიორგი – შენს ამბავსაც ვიკითხავ ჯურისწერის შემდეგ.

სიმონ – არა, ძმაო, სჯობს სულ არ ვიქორწინო, თორემ ასეთი უმადლესი რანგის მოსათვინიერებელ სკოლაში თუ მოვხვდი, სიკვდილი მომენატრება.

გიორგი – სისულელეა! მიეჩვევი. რასაკვირველია, შემეძლო სიღვრი აქედან გამესახლებინა, მაგრამ ჩემ ცოლს ისე უყვარს, კრინტიც ვერ დამიძრავს *(შემოდის მაშო)*

მაშო – ბატონო, ფორტამ წერილი მოიტანა. *(სიმონი გამოართმევს წერილს, დახედავს და უცებ ყბაზე ხელს შეშლილებს)*

გიორგი – რა მოხდა, სიმონ, ცუდი ამბავია?

სიმონი – არ, კბილი ამტკივდა! დილიჯანსში სულ ფანჯარაში მქონდა თავი გამოყოფილი და ეტყობა, ყბა გამიცივდა.

გიორგი – წყალი ჩაივებე და გაგივლის. მე მშველის ხოლმე. *(სიმონი წყალს ჩაივებებს და დაჯდება)* მომეცი წერილი.

მაშო – მგონი სხვა ქალაქიდან არის.

გიორგი – რა შენი გოგრის საქმეა, საიდან არის? ამას უყურე ერთი!.. *(მაშო ვარბის)* მომეცი *(სიმონს გამოართმევს წერილს. ხსნის)* „ჩემო დაუვიწყარო სიყვარულო, ჩემო ჟორა!“ რაო? *(პანიკაშია)* ქალის ხელწერაა!

სიმონ – *(წყალს გადმოაფრქევს)* რა გითხარი, საბაბს მისცემდი-მეთქი!

გიორგი – რა სულელური ხუმრობაა! *(კითხულობს)* „ალბათ გაგიკვირდება, როცა ამ ბარათს მიიღებ შენგან დავიწყებული, შორეული, მაგრამ ერთგული მეგობრისაგან“... *(ანოს შემოსვლაძღე მოასწრებს და წერილს მაგიდაზე დადებულ ქაღალდებში ძალავს).*

ანო – *(ეჭვით შესცქერის გიორგის)* ხელი ხომ არ შევიშალეთ?

გიორგი – ძალიან! თუ შეგიძლია, გვაცალე ცოტა ხანს.

ანო – ახლავე გავალ... თქვენი მეგობრისათვის მინდოდა მეკითხა, ისპანახი თუ უყვარს.

გიორგი – ბავშობიდან სულ ისპანახზე ოცნებობდა. მიდი და შეკაზმე.

ანო – ბატონი ბრძანდებით. *(შებრუნდა, შედვა, შემოტრიალდა)* გიორგი, წერილი მიიღე?

გიორგი – დიას.

ანო – თამარმა შიუკაშვილებისგან ხომ არ არისო?

გიორგი – არა.

ანო – ესე იგი, კლიენტისგან არის?

გიორგი – დიას, დიას, კლიენტისგან...

ანო – ასეც ვიცოდი, თამარსაც დავენილავე, კლიენტისგან იქნება-მეთქი. *(სიმონს)* ესე იგი ისპანახი გიყვართ?

გიორგი – დაგვანებე თავი, შე ისპანახო!

ანო – რატომ მიბრაზდები? ხომ ხედავ, მივლივარ. *(განზე)* საეჭვო საქმეა. დელას უნდა ვუთხრა. *(გაღის)*

გიორგი – ხედავ? *(წერილს დასწვდა)*

სიმონ – ვხედავ, ვხედავ, შე საწყალო!

გიორგი – *(კითხულობს)* „დღეს ზუსტად ექვსი კვირა შესრულდა, რაც მეუღლე გარდამეცვალა. ახლა თავისუფალი ვარ და ჩვენს სიყვარულს აღარაფერი გადაელობება. ისევ ისე მიყვარხარ, ისევ ისე შმაგად, გაგიუბით“... *(განზე)* ოხ, შენი! სიმწრის ოფლმა დამასხა! *(ფეხის ხმა. წერილს ინახავს. შემოდის ბაბაღე)*

ბაბაღე – ჩემი ანო ისპანახს კაზმავს.

გიორგი – კაზმავს და შეკაზმოს, მოვალთ და შეეჭვამთ! სუფრა გაშალეთ?

ბაბაღე – ახლავე, ამ წუთას ყველაფერი იქნება... *(პაუზა)* ჩემო გიორგი, მგონი წერილი მიიღე, არა?

გიორგი – დიახ, კლიენტისაგან.

ბაბაღე – ბათომიდან ხომ არ არის?

გიორგი – დიახ.

ბაბაღე – *(განზე)* ხედავთ, რა ურცხვად ტყუის? სასიყვარულო ბარათია, თვალზე ეტყობა. *(გაღის)*

გიორგი – ახლა რას იტყვი? *(წერილს აიღებს)*

სიმონ – არა, ძმაო, ცოლის შემრთმეველი აღარა ვარ. *(ღმუის)* ეს კბილი მაინც არა მტკიოდეს! *(ვრავინიდან წყალს დაისხამს, პირში იგუბებს).*

გიორგი – *(კითხულობს)* „თვრამეტ ქრისტეშობისთვის ვიქნები ტფილისს, ჩამოვხტები დეიდასთან და თუ ღმერთიც შემეწევა, ცხრამეტში სრულ თორმეტ საათზედ შენთან გავჩნდები, ჩემო სიცოცხლე. მარად შენი ჩიტუნია“. *(სავარძელში ჩაესვენა)* სიმონ, რა რიცხვია?

სიმონ – *(წყლის ვლავით)* ცხრამეტი. გამაგებინე, რაშია საქმე, რა ჩაიღინე?

გიორგი – შვიდი წლის წინ ზუგდიდში ერთი კაცის საქმეს ვარჩევდი. იმ ცხონებულს ლამაზი და გემრიელი ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა...

სიმონ – ყველაფერი გასაგებია!

გიორგი – კი, მაგრამ ეს ხომ წუთიერი გატაცება იყო, ვნებათა აყოლვა, ანცობა, სიშმავე, რაც გინდა დაარქვი. რა ვიცოდი, ის ვაჭარი ასე ადრე თუ მოკვდებოდა! ნეტა, ცოლი მოჰკვდომოდა!

სიმონ – მოჰკვდომოდა კი არა, დღესვე აქ გაჩნდება!

გიორგი – წარმოიდგინე, რა სცენა გაიმართება!

სიმონ – ფანტასტიური, გასაყეყელებელი!

გიორგი – რა ჭკუა უნდა მოჰკითხოთ ამ ქალს? შეიდ წელიწადში ხომ ათჯერ შემემლო ჯვარი დამეწერა.

სიმონ – ათჯერ ვერა, მაგრამ სამჯერ კი, ბატონო!

გიორგი – კანონებს მაინც ნუ მასწავლი... კანონები ვიცი... მაგრამ ის კი აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

სიმონ – თავში ქვას რატომ იცემ? აუხსენი ცოლს ყოველივე და მორჩა!

გიორგი – რა უნდა ავუხსნა, გაგიჟდი? ვეფიცებოდი, ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარ-მეთქი და ახლა ვუბრძანო, შენამდე ზუგდიდელ ჩიტუნიას ვყვარობოდი-მეთქი? არა, ამას ვერ ვეტყვი. სიმონ, თუ ძმა ხარ, მოიფიქრე რამე. *(საათს დახვდა)* ვაიმე, თორმეტს ჩეთვერი უკლია, თხუთმეტ წუთში აქ იქნება!

სიმონ – ქუჩაში დახვდი!

გიორგი – რა მოგდის, ყმაწვილო? ხომ იცი, ქუჩაში ცენზორის გარეშე ჯერ არ გავსულვარ!

სიმონ – აბა, რა გირჩიო?

გიორგი – ვილუპები. წარმომიდგენია, სიდედრი როგორ გაიხარებს. ნეტა, ფეხი მომტყდებოდეს... არა, ეს არ მიშველის! ნეტავ დავბრძანებოდეს! არა, არ ვარგა! ნეტა ენა წამერთმეოდეს *(ამ მივინებით ვახარებულო)* დამბლა! *(სავარძელში ჩაეკლო, ვითომ დამბლადაცემული)*

სიმონ – *(ვერაფერს მიხვდა, დაიბნა)* გიორგი, შემომხედე, ხომ მიცნობ, ვინცა ვარ?

გიორგი – აი, დამბლა დამეცა! ხედავ, ენა წამერთვა... *(ღუღღღუღებს)* სიმონ, რასაც აქ ნახავ და მოისმენ, ნუ გაიკვირვებ: ახლა მე დამბლა დამეცემა! *(მავიდას მიუჯდა, წერს)* გესმის, სიმონ? დამბლამ ენა წამართვა! *(საათს დახვდა)* თორმეტს ათი წუთი უკლია. ყველა აქ შეჰყარე და უთხარი, რაღაც უსაშველო დაემართა-თქო!

სიმონ – შენ მართლა ხომ არ აურიე?

გიორგი – ცხრა წუთიდა დამრჩა, სქელშუბლა მათემატიკოსო. ყველას დაუძახე, თორემ მართლა ავაფრენ. *(ხელს კრავს, სიმონს ვარბის. წერს)* ყველას ექიმებთან გავვზავნი და ის სულელი ჩიტუნია რომ მოფრინდება, აქ ჩემს მეტი არავინ დახვდება. მერე

მე ვიცი, ორ წუთში უკან მივაბრძანებ. *(შემობიან ბაბაღე, თამარი ანო, მაშო და სიმონი)*

ერთად – რა დაემართა? გიორგი, გენაცვალე, რა მოგივიდა? ავადა ხარ?

თამარი – ღმერთო გადმომხედე! დედა! ანო! ხმას ვერ იღებს.

ბატონო სიმონ, თქვენ აქ იყავით? რა დაემართა?

სიმონ – რამდენადაც მედიცინაში ვერკვევი, დამბლა...

ყველა – დამბლა?!

სიმონ – ან მსუბუქი გაჟონვა უნდა ჰქონდეს თავის ტვინში!

თამარ – *(გიორგის მიეჭრა)* ჩემო სიცოცხლე! გიორგი! გიორგი! ხმა გამე, ბიჭო! *(გიორგი აკანკალებული ხელით ქაღალდს გაუწვდის კითხულობს)* „არ შემიშინდე ჩემო სიცოცხლე, ნერვული სტრესი დამემართა. ცოტა ენა წაპერთვა, ოღნავ მარცხენა ხელი შემიჩერდა და მარცხენა ფეხს სულ ველარ ვიმორჩილებ. თუ ჩემი გადარჩენა გინდათ, ექიმები დამახვიეთ. რაც შეიძლება სწრაფად, რაც შეიძლება ბევრი! ყველანი ექიმებთან! სიმონმა გზა არ იცის, აქ დარჩეს, ეგებ რაიმეში დამჭირდეს!“ დედა, ანო, მაშო ჩქარა, სასწრაფოდ ექიმებთან! ჩქარა, ჩქარა, თორემ დავიღუპეთ!

ანო – მე ლიხტენშტეინთან გავიქცევი!

ბაბაღე – მე ზურაბაშვილთან წავალ, მაშოს კი გომართელთან გავაგზავნი.

თამარ – არა, გომართელთან მე წავალ; მაშო ასპისოვთან გაქანდეს, გესმის, მაშო!

მაშო – ბატონი ბრძანდებით!

თამარ – *(გიორგის)* ნუ გეშინიან, ჩემო სიცოცხლე! ყველაფერი მოგვარდება! *(არცერთი არ იძვრის)*

სიმონ – რაღას უდგენართ? დამბლამ გამეორება იცის!

ანო – ჩქარა, ჩქარა! სწრაფად! *(ქაღები ვარბიან)*

გიორგი – სიმონ, თუ ძმა ხარ, კარი ჩარაზე და ზუგდიდელი ქვრივი მოვა თუ არა, შემოუშვი.

სიმონ – მესმის.. მესმის... არა, ძმაო, მე ცოლის შემრთველი არა ვარ. ათი თავი მაქვს?! ეს კბილები მაინც არ მტკიოდეს *(წყალს ჩაივუბებს)*

გიორგი – იმ ჩიტმა რომ დაიგვიანოს, მთელი ოპერაცია ჩამიფლავდება! *(ზარი)* მოვიდა! თორმეტია! მოვიდა! სიმონ, შემოუშვი! *(სიმონი ვაკვა)* მოვიდა! *(შემოდიან ჩიტუნია და სიმონი)*

გიორგი – *(ვანზე)* ის არის! სიმონ, თუ შეიძლება, მარტონი დაგვტოვე! *(სიმონი თავის ოთახში შვეა)* გისმენთ, ქალბატონო!

ჩიტუნია – ვერ მიცანი, გენაცვალე?

გიორგი – ძალიანაც გიცანით. სულ არ გამოცვლილხართ.

ჩიტუნია – შენც იგივე ხარ! ოხ!

გიორგი – სასიამოვნოა, რა გნებავთ?

ჩიტუნია – ხომ მოგწერე: დაკვირვდი და საგანგებოდ ჩამოვედი ამ სიმორეს, შენ რომ მენახე.

გიორგი – რატომ შეწუხდით?

ჩიტუნია – სამარადისო სიყვარული შემომფიცე და რატომ შეწუხდიო?

გიორგი – როგორ? თქვენ შემოგფიცეთ? მესსიერება სულ დამიქვეითდა. იმ წუთიერის აღტკინებისათვის არ უნდა მიგენიჭებინათ ესოდენ დიდი მნიშვნელობა.

ჩიტუნია – მართლა? *(ჩანთას მაგიდაზე დადებს)* მე კი ყოველდღე თქვენზე ვლოცულობდი, თქვენ კი...

გიორგი – ამასობაში ცოლი შევირთე!

ჩიტუნია – ახ!

გიორგი – აბა, თქვენს დაქვრივებას ხომ არ დაველოდებოდი!

ჩიტუნია – ოხ!

გიორგი – ძალიან ბოდიში უნდა მოგიხადოთ, სასამართლოში მაგვიანდება.

ჩიტუნია – გეტყობათ, კეთილშობილთა კურსი დაგიმთავრებიათ.

გიორგი – განა საქმე კეთილშობილებაშია? ხომ ვითხარით, დაქვრივდინდი, ცოლი გაგიყვებით მიყვარს და გირჩევთ, დამივიწყოთ მეცა და ყველაფერიც, რაც ჩემთან გაკავშირებდათ. *(სათს დახედა)* საცაა მობრუნდებიან. მოდით, მეგობრებად დავრჩეთ... *(ადგება)*

ჩიტუნია – არავითარ შემთხვევაში. თქვენი ხსენებაც აღარ მინდა. დღესვე გამოგიგზავნით ბარათებს...

გიორგი – *(აწვევტირებს)* რომელ ბარათებს?

ჩიტუნია – კუბოს კარამდე შენი ერთგული ვიქნებიო, რომ მწერდი.

გიორგი – რამ შეგაგროვებინათ? *(უცებ)* არა, არ გამომიგზავნოთ! მე თვითონ წამოვალ თქვენთან ერთად, ახლავე ამ წუთას... არა, გამოგყვებით.. უკან გამოგყვებით, გასაგებია?

ჩიტუნია – და ეს კაცი მიყვარდა ასე თავდავიწყებით?!

გიორგი – სიმონ! *(სტუმრის კარს შეადებს)* სიმონ, მივდივარ, ექიმები გარეკე... ჩემს ცოლს კი უთხარი, უკეთ განდა და ნერვების ექიმ შარაბიძესთან წავიდა-თქო. *(შლაპა დაიხურა. ჩიტუნიას)* ქალბატონო, წავიდეთ! *(კართან მივლენ და ზარი)* ვაიმე! ნაღდად, სიღღრია! *(ჩიტუნიას ხელს სტაცებს და მარცხენა მხარეს, ერთ-ერთ კართან მიიყვანს)* აქეთ მობრძანდით!

ჩიტუნია – ხელი არ მახლო, შე მხეცო! *(ზარი)* რას შვრები!

გიორგი – რას ვშვრები, ქალბატონო, და თავი უნდა გადავირჩინო. *(ოთახში შეაგდებს. კარს მოუხურავს. მივარდება სიმონის კართან)* სიმონ! სიმონ! ზარია.

ჩიტუნია – *(კარს გამოაღებს, გამოვა)* რატომ მაინცდამაინც ამ ოთახში?

გიორგი – *(მივარდება, ისევ შეკეტავს. გზაში)* იმიტომ, რომ სიღღრია, სიღღრია! *(ისევ მივა სიღღრის კართან)* სიმონ! სიმონ! *(საზოგადო კარისკენ გაიქცევა და შეშინებული უკან იხეკს)* კარის დაკეტვა დავიწყებია იმ დოკლამაის!

ჩიტუნია – *(ისევ გამოვიდა, თითქმის გახდილი)* ჩემო სიცოცხლე, მართო ნუ მტოვებ, ჟორა!

გიორგი – *(ისევ შეაგდებს უკან)* რით ვერ გაიგე, მოდიან! ჩაიცვი! მოდიან!! *(თვითონაც შეჭყეება და კარს მიიხურავს. გამოდის ებაზეხელშემოდებული სიმონი)*

სიმონ – მგონი, ზარს რეკდნენ! რაღა ეხლა ამტკივდა ეს კბილები ამ მშვიერ კუჭზე! *(მაშო ვაალებს... წყალს ჩაივუბებს, მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდება და ებაზე ხელს შემოიდებს. შემოდინ ანო და ლიხტენშტეინი)*

ანო – *(ჩუმად)* აი, ავადმყოფი, ექიმო!

ლიხტენშტეინი – დზალიან კარქი, დზალიან კარქი. ნუ ამომიღელდებით, ფროილიან. კველაპერი კარქად იკნება. დზალიან მომიბოდიშებია, მაგრამ დიდი ტაშტი დავგვირდება. *(ანო გარბის)* დამბლა ბევრი მოგარჩინე. სისხლ... სისხლ... სისხლსავსე კაცებს ნშირად ემართებათ.

ანო – *(შეძოკეს ტაშტი)* აი, ექიმო, ინებეთ.

ლიხტენშტეინი – *(გამოართმევს)* დანკე, ფროილიან. კარქია, შეგიძლიათ წახვიდეთ.

ანო – ასისტენტი არა გვირდებათ?

ლიხტენშტეინი – ფროილიან, აქ ისეთი სისხლის შარდე... არა!

არა! – შარდები – არა, შადრევანი უნდა გავაკეთო, ფროილაინის სუსტი ნერვი ვერ გაძლებს.

ანო – მშვენივრადაც გავძლებ. ტამტსაც ღავიჭერ.

ლისტენშტეინი – გული წაგივათ, ფროილაინ... აბა, მიბრძანდით...
(*გიორგის მეზობელ ოთახში შეიყვანს და კარს ჩაუკეტავს*)
კარქია. (*საკვილიაჟიდან ამოიღებს საჭირო ინსტრუმენტებს, დიდ ლანცეტს და ტამტთან ერთად სიძონს მიუკვდება*) ღზალიან სისხლჭარბი კაცი ჩანს. აბა, როგორა ხართ? (*ექიმის დანახვაზე აღშუვლდება*) ენის სრული დამბლა! ცხადია! ხელი მომეცი! (*პულსს უსინჯავს*) საკვირველია, მაჯა ნორმალურია. ღზალიან შემთხვევაა, ღზალიან! ჟურნალ „მედიკოსს“ უნდა ღავცერო! ტავი ტკივა? (*სიძონი ისევ ღძუის და თავს დაღებთად იქნევს*) ტავი ტკივა? ტავი? ტავი? (*თავზე ხელს აღებს. სიძონი ღძუის*) ტავი ტკივა? უხ. მეც დამბლა მაქვს თუ რა არის. ამას ხომ ენა წაერთვა?! ახლავე სისხლი გამოვა! (*ხელებს დაიკაპიწებს, ლანცეტს აიღებს, ტამტს მიუშვევრს*)

სიძონ – (*ტამტში პირიდან წყალს გადმოუშვევს*) ყელი უნდა გამომჭრათ?

ლისტენშტეინი – (*გაოცებული*) ო-ო-ო-! ასეთი რამ ჩემი პრაქტიკა არ არის. შიშით ენა აუშომრავდა!

სიძონ – ბოღიში! ძლიერ კარგად შვეიქმენ! (*ფულს მაჩჩეჩებს*) აუფ ვიდერზენ

ლისტენშტეინი – ნება გიბოძე, ერთი კითხვა?

სიძონ – ჩაო! ჩაო! გუტენ მორგენ! გულ ბაი!

ლისტენშტეინი – ვერაფერი გაიგე. ავადმყოფი მოვარჩინე და მაგღებს! (*გადის*)

სიძონ – გიორგი! გიორგი!

ანო – (*თავისი ოთახიდან*) რომელი ხარ? გამიღეთ! მაშო, გააღე კარი!

გიორგი – (*თავს გამოყოფს*) საღ არიან?

სიძონ – ექიმი გავაგღე, ანო კი ამ ოთახშია ჩაკეტილი.

გიორგი – ჩქარა, ჩქარა! ქალბატონო, იჩქარეთ! (*მეველენ საზოგადო კართან და ისევ ზარია. შერდებთან*) სიძონ, ჩვენ უკანა კარიდან გავალთ! აბა, ჩიტო, მომყევი! (*მიათრევს. ზარი. ვაღიან*)

სიძონ – ახლა ეს გვრიტიც შეიძლება გამოვუშვათ! (*ანოს კარს გაუღებს*)

ანო – (*საწერი მაგიდის სავარძელს გახეღავს*) გიორგი რა იქნა?

სიმონ – წავიდა.

ანო – დამბლადაცემული *(ვაბძული ზარი)* ალბათ, დედაჩემია!
(საზოგადო კარს აღებს. შეძლიან ბაბაღე, თამარი და მამო)

თამარი – *(შეძიორბენს)* წარმოგიდგენიათ, არცერთი ექიმი შინ არ იყო. რა გვეშველება?

ანო – ლიხტენშტეინი აქ არის! მოვიყვანე!

თამარ – მაღლი უფალსა! გიორგი როგორღაა?

ანო – წასულა.

თამარ-ბაბაღე – *(ერთად)* წასულა? ხომ არ გაგიჟდი?

ანო – ბატონმა სიმონმა ასე მითხრა... *(ყველანი სიმონს შეძიორბევიან)*

თამარ – სად წავიდა? როგორ?

ბაბაღე – ასეთ ავადმყოფ კაცს ნამდვილი მეგობარი ქუჩაში მარტოს გაუშვებს?!

სიმონ – არა, იცით... *(სიტყვებს ეძებს)* ანოს მოყვანილმა ექიმმა ვერ უშველა და ვკითხე, გიორგი, ნუთუ ამაზე კარგი ექიმი მთელს ტფილისში ვერ მოიძიება-მეთქი? როგორ არაო, მიპასუხა. *(შეცბა)* მიპასუხა კი არა დამიწერა... *(ამოიხუნთქა)* მერე, იმასთან ვერ წახვალ-მეთქი? – ისევ შევეკითხე. ადგა და წავიდა!

ბაბაღე – სდექ! თამარ, გვატყუებენ!

ანო – მეც ასე ვფიქრობ. ლიხტენშტეინმა იქ რომ ჩამკეტა, ქალის ხმაც მოისმა.

თამარ – ქალის ხმაო? სიმონ, ვინ იყო?

სიმონ – არ ვიცი. არა... არავინ!

ანო – კი, მაგრამ, ჯერჯერობით, მაღლობა ღმერთს, ქალისა და კაცის ხმას ვარჩევ! ნუთუ შევეცდი?

ბაბაღე – *(ზეიმით)* ჩემო, კარგო, არ შემცდარხარ?! აქ იყო ქალი! !! *(მაგიდიდან ხელჩანთას აღებს)* თამარ, რამდენჯერ გითხარ, გიორგი გლალატობს-მეთქი. *(ჩანთას ცხვირთან მიუტანს)* ახლაც არა გჯერა?

თამარ – ნუთუ ეს ყოველივე იარტისტა? შეუძლებელია! ბატონო სიმონ, რას გაშეშებულხართ? გვითხარით, ვინ იყო აქ?

სიმონ – ღმერთს გეფიცებით, აქ ქალი არ დამინახავს. არ ყოფილა და საიდან ვნახავდი.

ანო – რას დავიჩემებიათ, არ ყოფილაო. მამ, ეს აქ საიდან გაჩნდა? *(დედას ჩანთას გამოართმევს)* თქვენთან, მარნეულში, ასეთ ხელჩანთებს კაცები ატარებენ? *(ჩანთას გადმოაპირქვავებს)*

ცხვირსახოცს „არ დამივიწყო“ სუნამოს სურნელი ასდის. ეს
 ორი მანეთი. ესეც სადარბაზო ბარათი. *(კითხულობს)* „მაბული
 განუგრავა. ტფელისი. წმინდა სამების ჩიხი. საკუთარი სახლი“.

სიმონ – ვაი, უბედურო გიორგი! თითების ანაბეჭდი დაუტოვებია.
თამარ – განუგრავაო? მიშველეთ! *(გული მისდის)*

ბაბაღე – წყალი! წყალი! მაშო, წყალი! *(სიმონი თამარს წყალს
 მოუბრუნებს)* კლიმიაშვილის ქალი განუგრავაზე გაცვალა?!
(სავარძელში ჩაესვენება) წყალი!

ანო – სიმონ, წყალი დედას, სასწრაფოდ! *(სიმონი გარბის)* ვაი,
 მეც... წყალი! წყალი!

სამიგე – *(ერთად)* წყალი! წყალი! ჩქარა! სწრაფად! წყალი!
 წყალი!

სიმონ – ხელში არ შემომაკვდნენ ეს... კეთილები! მაშო, ექიმი!
 სწრაფად! *(კართან სავარძელში ჩაესვენება)*

ბაბაღე – *(წამოიჭრა)* არა, შვილებო, ახლა ჩვენ ავადმყოფობისათვის
 არა გვცალაია. უნდა მივსდიოთ! წინ, წმინდა სამების ჩიხისაკენ!

ანო – *(წამოხტა)* წინ! დაბული განუგრავას კერძო სახლისკენ! მაშო,
 შლაპა!

თამარ – ოჰ, იქ თუ ვიპოვნე! მიფრთხილდი, გიორგი! სიმონ,
 მომეცით ხელი, წავიდეთ!

სიმონ – არ ვიცი, თუ გამოგადგებით, ეს ოხერი კბილები...

ანო – *(აწვევებინებს)* ხმა! კრინტი! ჩიხისკენ იარ!

ბაბაღე – წამოიყვანე, ანო! მართალი ხარ! თავისი ძმაკაცის ოინები
 კარგად იხილოს. წავედით შვილებო! ოხ, გიორგი, ბოლოს
 და ბოლოს, ხომ ჩავარდი! აბა, დროს ნუ დავეკარგავთ, თორემ
 ხელიდან დაგვიძვრება ის ხვლიკი!

*(გარბიან და წინააღმდეგობის მიუხედავად, თან
 მიაქვთ სიმონ ღრავაძეც)*

ფარდა

მეორე მოქმედება

ძაბული განუგრავას სასტუმრო ოთახი. ორი კარი – მარჯვნივ, ერთი – მარცხნივ, ორიც – მაყურებელთა პირდაპირ. ფანჯარა მარჯვნივაა, ფარდის ვახსნისას ისძის ზარის ხმა. შეძლიან ძაბული და ნენა. ნენა ვზადავ ზა ხლის ქალბატონს. ვერ ძვირფასი ბეწვის ქურქს ჩამოართმევს. მერე ვუაღიან შლაპას. ძაბული სავარძელში ჩაესვენება. ნენა ჩექმებს გაადრობს.

ძაბული – არავის ვუკითხივარ?

ნენა – არა, ქალბატონო.

ძაბული – ჩიტუნია ვერ არ დაბრუნებულა?

ნენა – არა, ქალბატონო.

ძაბული – სახლის მყიდველი არავინ გამოჩენილა?

ნენა – არა, ქალბატონო. *(ქურქს დივანზე ძიასვენებს, შავუაღიან შლაპას – მაგიდაზე)* მეეზოვემ მითხრა, ვიდაც ბატონს უკითხავს, რა ღირს ეს თქვენი სახლიო და რომ გაუგია, ორმოცათასად არ გავეიდეთ, ხელი ჩაუქნევია და წასულა.

ძაბული – ეგ ჩემი სახლის მყიდველი არ იქნებოდა. ეს ყოველივე კარგია, მაგრამ მემასაჟე სადღაა? ნუთუ ჩიტუნიას დაავიწყდა, შეეგლო და წამოეყვანა. მომკლეს ამ რევმატიზმებმა; არა და ჩვენში, იქ, რევმატიზმი რა იყო, არც ვიცოდით. დახაშმულია ეს ოხერი ქალაქი.

ნენა – მერე... წავიდეთ ისევ ზუგდიდში!

ძაბული – ამხელა სახლი ვის დაუტოვო? *(პაუზა)* სადაა ჩიტუნია ნეტავ? სამგლოვიარო შლაპა უნდა შეეკვეთა და მემასაჟესთვის გამოეგლო. ტფილისს პირველად არ არის და გზა არ უნდა შეშლოდა! *(ზარი)* აგე, მოვიდა! *(ნენა კარის ვასაღებად გადის. შეძოდის ძუკუ)* მოდი, გენაცვალე, მოდი. მემასაჟე ხარ ხომ?

ძუკუ – რა გვიბრძანეთ?

ძაბული – მემასაჟე იქნები-მეთქი, გიბრძანეთ!

ძუკუ – ვერ გავიგეთ?

ძაბული – დაყრუებულხარ, დამიკო!

ძუკუ – ეხლახანს გეახელით ზუგდიდიდან და... *(წარუდგება)* ძუკუ კვარაცხელია!

ძაბული – ოხ, ჩვენებური ბრძანდებით? ჩემი დისწული იყო გათხოვილი ზუგდიდს და დამიქვრივდა და დამიბრუნდა.

ძუკუ – ქალბატონი ჩიტუნია? ვიცი... ვიცნობ... მეზობელია ჩემი...

ბაბუღი – მაგას რა სჯობს! თანხაზედაც იოლად მოვილაპარაკებთ.

ბუკუ – როგორ? თანხა თქვენ უნდა მოგართვათ? წინასწარ თუ?

ბაბუღი – აბა, უფულოდ ამხელა სახლს ვინ დაგიტომობთ? თქვენ ხომ სახლის კლიენტი ხართ?

ბუკუ – არა, ბატონო, სახლის კი არა... ჩიტუნიასი... დაქვრივდლო, ბრძანეთ, მე კი უცოლო ვარ სულ... თანაც... არც კი ვიცი, როგორ გაგიმხილოთ... ცოტა მრცხვენია... თანაც მიყვარს იგი... დიდიხანია ... ჯერ კიდევ მაგის ქმრის სიცოცხლეში ჩავივინე ეს სისულელე... დიდი ბოდიში!

ბაბუღი – როგორ გეკადრებათ! არ მიყვარდა ის კაცი... პირიქით, მეჯავრებოდა!

ბუკუ – *(ხელზე კოცნის)* თქვენი ჭირიძე, თქვენი! რომ გავიგე, ტფილისს გაემეზავრაო, გადავირიე, პირდაპირ. ვიფიქრე, ვინმე კვაჭმა ქალაქელმა არ დამასწროს-მეთქი და უკან გამოვყვევი!

ბაბუღი – *(სიცილით)* ესე იგი, ჩიტუნიას კლიენტი ბრძანდებით!

ბუკუ – ცოლად მინდა შევიერთო პირდაპირ! აქამდე, მგლოვიარედ ბრძანდებოდა და ვერაფერი გავუბედე. ამჟამად, თქვენც თუ დამეხმარებით და ჩავაგონებთ, ჩიტუნია გამაბედნიერებს და ეგ არის!

ბაბუღი – ჩავაგონებ... ჩავაგონებ... ჩემი გაზრდილისა მე ვიცი... პატიოსანი, გაუბედავი, მშრომელი ქალია... ასე რომ, ბედმა გაგიღიმათ და გიხაროდეთ.

ბუკუ – ერთი სული მქონდა, ორმოცი როდის გავა-მეთქი, რომ ვეანლო და მუხლმოდრეკით ჩემი ხელი შევთავაზო-მეთქი – თქვა!

ბაბუღი – კარგად მოგიფიქრებიათ. ახალგაზრდა ქალია და უქმროდ შეიძლება წახდეს. თქვენ რას საქმიანობთ ყმაწვილო?

ბუკუ – ცხენებით ვვაჭრობ პატარას. ტფილისში ყველა მიცნობს და მენდობიან.

ბაბუღი – არც ჩიტუნიაა უმზითვო. ჯერ ასი ათასი ამ ქმრისა დარჩა და მერე მე რომ გადავიმასქნები, ყველაფერი მაგისი არ არის?!

ბუკუ – რატომ უნდა გადაიმასქნეთ, ადრეა ჯერ!

ბაბუღი – გული მიგრძნობს... ნახევარი წელია ქმარი დავმარხე და არ მეშვება. ყოველ ღამე მესიზმრება. ამიტომ უფრო გადავწყვიტე სახლი გავყიდო, ეგებ მომეშვას.

ბუკუ – მოგეშვებათ, აბა, რას იზამს?! მიცვალებული კაცი სხვის ბინებში ზომ არ ღაგიწყებთ ძებნას?!

ძაბული – მეც ეგრე ვფიქრობ: არ იკადრებს! მაგრამ სანამ აქედან გადავალ, მომკლა პირდაპირ. ექიმს გავესინჯე. მასაჟი დამინიშნა... მაგრამ არც მემასაჟე ჩანს და არც ჩიტუნია. ჩიტუნიას მისამართი მივეცი, გამოუარე და მომიყვანე-მეთქი... ნუთუ დაიბნა?

ბუკუ – მიბრძანეთ, სად ცხოვრობს და ახლავე მოგვკვრით მემასაჟეს.

ძაბული – ოხ, როგორ შეგაწუხებთ!

ბუკუ – თქვენთვის, ქალბატონო ძაბული, წყალში გადავვარდები! ცურვა არ ვიცი და იმიტომ!

ძაბული – როგორ გაწუხებთ, როგორ! რიყეზე ცხოვრობს, რუსული გვარი აქვს: ლიხტენშტეინი! ექიმი ლიხტენშტეინი! აუცილებლად ქალი უნდა იყოს.

ბუკუ – ახლავე მოგართმევთ! მანამ, თუ ჩიტუნია მობრძანდება, სიტყვა შემაწიეთ, არ დაიზაროთ.

ძაბული – შეგაწუხებთ, შეგაწუხებთ...

ბუკუ – *(ხელზე კოცნის)* გმადლობთ, დიდი მადლობა. ლიხტენშტეინს ახლავე მოგართმევთ... დიდი ბოდიში... კარს ნუ დაკეტავთ... ახლავე აქ გავაჩენ... მადლობთ, კიდეც ერთხელ *(უკან-უკან მიჩოჩავს და გადის)*

ძაბული – კარგი კაცი ჩანს ეს ბუკუ კვარაცხელია... მივათხოვებ მაგას ჩიტუნიას... ნენა... ნენა... *(შემოდის ნენა)* ჩაი მოაღუღე?

ნენა – დიახ, ქალბატონო.

ძაბული – მურაბა ჩაყარე?

ნენა – დიახ, ქალბატონო.

ძაბული – ალუბლის თუ ბლის?

ნენა – დიახ, ქალბატონო. *(გადიან. შემოდიან ჩიტუნია და გიორგი)*

ჩიტუნია – დაბრძანდით, ვიდრე წერილებს მოვნახავ.

გიორგი – დასაჯდომად არა მცალია, სასამართლოში მელიოდებიან.

ჩიტუნია – *(შენიშნავს დივანზე გადაფენილ ქურქს, უთითებს)* ვაიმე, დეიდაჩემი შინ ყოფილა!! რომ დაგვინახოს! გიორგი, უნდა წახვიდეთ, ახლავე, ამ წამს!

გიორგი – უწერილებოდ ფეხს არ გადავადგამ!

ჩიტუნია – ნუ ყვირით, დეიდა გაიგონებს. წერილებს კი ამსალამოსვე მოახლის ხელით გამოგიგზავნით.

გიორგი – არა, მოვიცდი.

ჩიტუნია – იცოდეთ, დეილამ თუ ღაგინახათ, ჩხუბი არ აგვცდება, ისეთი პატოსანი, ღვთისმოსავი, წესიერი და მკაცრი ქალია.

გიორგი – ამასობაში ხომ მოძებნიდით?

ჩიტუნია – ოხ, ღმერთო! რა ვიცი, სად ჩავმალე, საკოვიაჟში თუ კილობანში? ეგებ, ტუალეტის ან შლაპის კოლოფში... როგორ არ გინდათ, მითანაგრძნოთ, დეილას ისე სჯერა ჩემი და ... შინ ახალგაზრდა კაცი მომყავს მე, ახლადდაქვრივებულს?! არ მეგონა, ასე სწრაფად თუ მოივლიდა სასაფლაოს, თორემ არასგზით არ წამოგიყვანდით!

გიორგი – არაფერია, უთხარით, ადვოკატია და რჩევა უნდა მომცეს-თქო. უთხარით, კანონიერ დარიგებას მაძლევს ანდერძის შესადგენათ-თქო.

ჩიტუნია – და ამისთვის ეს ახალგაზრდა კაცი შინ მოგიყვანეთ, არა? *(ძაბულის ხმა: ნენა! ნენა!)* გიორგი, დეილა აქეთ მოდის! წადით, ჩქარა, სწრაფად!

გიორგი – წერილები!

ჩიტუნია – მოდის, წასვლას ვეღარ მოასწრებთ, დაიძალეთ, დაიძალეთ. გთხოვთ! *(გიორგი მარცხენა კარს მივარდება)* მანდ ნუ შეხვალთ, ეგ დეიდაჩემის საწოლია! *(მკვრამ გვიან არის, გიორგიმ კარი მოიხურა და ძაბულიც გამოჩნდა)* ვაიძე, დედა!

ძაბული – *(პირდაპირ საწოლისკენ მიდის)* შენა ხარ, ჩემო ჩიტო? უკვე ვნერვიულობდი, ხომ არავინ აწყენინა-მეთქი.

ჩიტუნია – ტყუილად ნუ ინერვიულებ, თავს არავის დავაჩაგვრინებ. საით გაგიწევიათ?

ძაბული – საწოლში.

ჩიტუნია – საწოლში რა გნებავთ, სასადილოში არა სჯობია?

ძაბული – რა მნებავს და თავშალი.

ჩიტუნია – მე მოვიტანთ.

ძაბული – ვერ იპოვნე.

ჩიტუნია – როგორ ვერ ვიპოვნე, მაგისთანები მიპოვნია?!

ძაბული – ვერ იპოვნე-მეთქი. აურ-დაურევ იქაურობას და ამით დამთავრდება. გაიწი იქით, ძლაბი! *(ოთახის კარს გამოადგებს)*

ჩიტუნია – ვაიძე, ნენა!

ძაბული – *(შეჰყვირებს)* ოხ! ოხ! კაცი!

გიორგი – *(თავს დაუკრავს)* უკაცრავად, ქალბატონო, მგონი, შეგაშინეთ. არ მინდოდა...

ბაბუღი – ვინ არის-მეთქი, ჩიტო, გამაგებინე?

ჩიტუნია – იცით, დედა, ეს ახალგაზრდა... *(ვანზე)* სულ ღავიბენი.

ბაბუღი – მემასაჟეა?

ჩიტუნია – დიახ, *(შეებით ამოისუნთქს)* მემასაჟეა.

გიორგი – რაო?

ჩიტუნია – ექიმმა, ყველაზე კარგი მემასაჟეა მთელს ტფილისშიო.

ბაბუღი – ოხ! როგორ შემაშინე, რა იყო, შე კუდრაჭა! გონს ახლაც ვერ მოვსულვარ! *(გიორგის)* თქვენც, ახლანდელ ახალგაზრდებს, რა ჩვეულება გაქვთ, უცნაური: შეხვალთ თუ არა ვინმეს ოჯახში, მაშინვე ყოველ ოთახს მოივლით!

გიორგი – კი, მაგრამ, ქალბატონო...

ბაბუღი – ვაიმე, დედა, ჩემს საწოლში ჩემი გრიშას მეტი არავინ ყოფილა ჯერ და გული რომ არ გამისკდა, მიკვირს... რამ შეგიყვანა საწოლში, კაცო? *(ღივიანზე ჩამოჯდა)*

ჩიტუნია – *(გიორგის ჩუმად)* თუ დამაბეზლებთ, ყველა წერილს თქვენს მეუღლეს გავუგზავნი!

გიორგი – *(ჩუმად)* აბა, რა კენა? რის მემასაჟე ვარ, ხეირიანად არც კი ვიცი, როგორ კეთდება.

ჩიტუნია – *(ჩუმად)* ეგ უკვე თქვენი საქმეა. წასვლა არ მოინდომეთ და ახლა როგორც გენებოთ ისე დაიძვრინეთ თავი.

ბაბუღი – აქ იმან შემოიარა, იმან... შენი ზუგდიდელი მეზობელი იყო აქ.

გიორგი – ზუგდიდთან რა ხელი მაქვს? ტფილისელი გახლავართ.

ბაბუღი – თქვენ ვინ გელპარაკებათ, მემასაჟე, ჩიტოს ვეუბნები, ჩემს ჩიტის ვეუბნები, ჩემს ჩიტის. ძუკუ იყო-მეთქი, ვიდრე შენ მოხვიდოდი და ამ გადარეულს მომიყვანდი აქ, კვარაცხელია.

ჩიტუნია – როგორ, ძუკუ ტფილისშია? სად ჩამომხტარა, დედა?

ბაბუღი – არ ვიცი, მაგრამ მალე კი მობრუნდება, *(გიორგიზე)* ამასთან გავაგზავნე.

გიორგი – როგორ თუ ჩემთან? სად ჩემთან?

ბაბუღი – რომ დაიგვიანე, ჩიტუნია, მეგონა, ამასთან შეკლა დაგავიწყდა და გავაგზავნე, უმალ, რიყზე.

ჩიტუნია – ის ისეთი წურბელაა, უთუოდ მოათრევს ვინმეს. რა გაეწყობა, ვეტყვი, რომ ეს მემასაჟე სხვაგან ავიყვანე.

გიორგი – *(ვანზე)* რა კარგი სანახავი ვიქნები იმ ნამდვილი მემასაჟისთვის?! ოხ, ქალებო, ქალებო, თქვენი სინსილა გაწყდეს, თქვენი!

მაბული – *(გიორგის)* სადა ხარ, მოდი, საქმეს მიხედე!

ჩიტუნია – *(გიორგის)* მიდი დეიდასთან, მე კი ჩემს ოთახში იმას მოვნახავ. *(გადის დაყურებლისგან პირველ მარჯვენა კარში)*

მაბული – აბა, ერთი, ეს მარცხენა ხელი ნახე, როგორია?

გიორგი – რა უჭირს. *(ჯერ გაუბედავად, მგვრამ მალე ღონივრად „უბუშაგებს“ მარცხენას).*

მაბული – ნელა, ნაზად, მტკივა, მხეცო!

გიორგი – ამაზე ნაზად?

მაბული – აბა, ძვლები უნდა დამიმტვირო?

გიორგი – *(განზე)* ერთი ჩემს სიდედრს დაანახვა ცალი თვალით რა დღეში ვარ. რას გაიხარებდა? *(ზარი)* ვაი!

მაბული – რას ხტუნაობ, ყმაწვილო?

გიორგი – მგონი, ზარია.

მაბული – ზარია და გააღებენ. კლიენტი იქნება: სახლს ვყიდი... საქმეს მიხედე. ცოტა ზემოთ, ცოტა ქვემოთ...რას ნიშნავს, საქმის მცოდნე კაცი. ხელი მომიკიდა თუ არა, იმწამსვე ვიგრძენი... დიდიხანია რაც მემასაყუდ მუშაობთ?

გიორგი – ჩემ სიცოცხლეში პირ... *(კონს მოეცო)* ბავშვობიდან.

მაბული – მეც არა ვთქვი, საიდან მეცნობა-მეთქი... სად უნდა მენახე: ან სასაფლაოზე, ან სასამართლოში, სხვაგან მე არც დავდივარ და არც ვივლი.

გიორგი – *(ბრაზით)* სასამართლოში? სასამართლოში რა მინდა, ბოროტმოქმედი კი არა ვარ, ქალბატონო! *(განზე)* ხედავთ, რა მეხსიერება ჰქონია? *(ზარი)* ვაი!

მაბული – რა იყო, რას ხტუნავ, ისევ?

გიორგი – მზად არის!

მაბული – რას მეუბნები! ხუთ წუთში ხუთი მანათი გინდა ამართვა? ექიმმა, ნახევარი საათი მაინც უნდა დაგზილოსო. ასე რომ, მიდი! *(ზარი)* ნენა, ზარია! *(გიორგის)* ნუ ხტუნავ-მეთქი, მითქვამს შენთვის! მიდი, მიდი!

გიორგი – როგორ, ნახევარი საათი?

მაბული – რალაი ქალი ვარ, უნდა მომატყუო? ეგებ გამქურდო კიდევაც. მიდი, საქმეს მიხედე, თორემ ხვალვე დაგაბეზლებ ექიმთან! *(ზარი)* ნენა, ზარია, ქალო!

გიორგი – *(განზე)* ეგლა მაკლია ახლა აქ ჩემიანები მობრძანდნენ. *(ზარი)*

მაბული – სად დაიკარგა ის ქალი? ნენა! ნენა! ბინის კლიენტი

არ დამაკარგვინოს. *(პასუხი არ ისმის. გაბმული ზარი)* ნენა, შენ დაგაყრუა ღმერთმა! *(ღვება, კარის გასაღებად მიღის. გაშმაკებული ზარი).*

გიორგი – რამ გაამწარა? ვინ არის? *(ფანჯრიდან გადაიხედავს და შეშინებული უკანვე გადმოხტება).* ვაი, მე! ცოლი, სიღედრი, ცოლისდა და სიმონი, ჩემი ერთგული მეგობარი! საიდან გაიგეს ეს მისამართი? ნუთუ სიმონმა გამცა? მაგრამ სიმონმა სად გაიგო ჩიტუნის ადგილსამყოფელი? მგონი, ნამდვილად გავვიჟდი და მეჩვენება! *(ზარი. ისევ ფრთხილად იხედება. ისევ გაძწარებული გადმოხტება უკან)* უნდა დავიძალო, თავი დავიძვრიხო, რადაც უნდა დამიჯდეს, თორემ ვიღუპები! *(ისევ საწოლს ოთახში შევარდება. ისმის ნენას ხმა: „მობრძანდით, მობრძანდით!).*

ბაბუღი – *(შემოდის აქოშინებული)* ამ მოახლეებს კარგა მაგრად თუ არ დაუდექი, სულ გაზარმაცდებიან. *(შეცბა)* სად წასულა ჩემი მემასაჟე? ისევ დაიძალა? ნეტა სად იპოვა ჩემმა გოგომ ეს სულელი? მემასაჟე! მემასაჟე! *(საწოლში შეიხედავს)* აქა ხარ? არ არის. იქნებ შემოსასვლელში გლარჯის მიღს აბოლებს. *(საზოგადო კარისკენ მიღის. იღება კარი და შემოცვივდებიან ბაბაღე, ანო, შეძღვე ნენა)* სახლის კლიენტები ბრძანდებით? კარგია! აჩვენე, ნენა, სახლი! ანტრესოლებიც შემოატარე...

თამარ – თუ შეიძლება, თქვენი სახელი და გვარი გვიწყალობეთ. *(განზე)* რა სიფათი აქვს?! *(ღივინისა და მკვიდის ქვეშ იხედება.)*

ბაბუღი – ამ სახლის პატრონი გახლავართ – ბაბუღი განუგრავა.

თამარ – რაო, რა ბრძანეთ?

ბაბუღი – ბაბუღი გახლავართ-მეთქი, ამ სახლის პატრონი, განუგრავა!

თამარ – *(თავს დაუკრავს. დედას, ჩუმად)* დედა, წავიდე, აქ რაღაც შეცდომაა. არა მგონია, გიორგი ამ სიფათის ქალთან რაიმე რომანი გამართოს. ერთი შეხედე...

ბაბაღე – კაცი – ძაღლია, ყველაფერს იკადრებს. შენ ჯერ კიდევ არ იცნობ კაცებსა, ბაღლი ხარ.

თამარ – *(ბაბუღის)* და კიდევ უკანასკნელი შეკითხვა: იცნობთ თუ არა ნაფიც მსაჯულ გიორგი შანშიაშვილსა?

ბაბუღი – პირველად მესმის.

თამარ – მაშ, ეს ხელჩანთა ვისია?

ბაბუღი – რა ვიცი?! სადმე იპოვნეთ თუ რად შეკითხვით?

თამარ – საკვირველია... დიახ, ჩემს ბინაში ვიპოვნე და თქვენი სადარბაზო ბარათი კი აღმოვაჩინე!

ბაბუღი – *(გაძიარითმევს ბარათს)* დიად, ეს ბარათი ჩემია, ხელჩანთა კი არა. სხვისი ხელჩანთა, აბა, რად მივითვისო?

თამარ – მაშ, საიდან გაჩნდა თქვენი ბარათი სხვის ჩანთაში?

ბაბუღი – ხომ გითხარით, სახლს ვყიდი და ნაცნობ-მეგობრებს ყველას დავურიგე; ეგებ, რომელიმე მათგანმა დაკარგა ეგ ხელჩანთა?! ხდება ხოლმე. განსაკუთრებით ახალგაზრდებს ემართებათ უწყურადღებობით.

თამარ – დედავ, წავიდეთ, აქ ჩვენ აღარა გვესაქმება რა.

ბაბაღე – როგორ თუ აღარა გვესაქმება: უნდა ვიპოვნოთ!

თამარ – სისულელეს ნუ ლაპარაკობ!

ბაბაღე – ამას დაუფერე, ამ ცრუპენტელას? არა, ჩემო კარგო, მე ვერე იოლად ვერ გამაცურებთ. გული მიგრძნობს, აქ არის შენი ქმარი. *(ძაბუღის)* იცით, ქალბატონო ბაბუღი... შესაძლოა, ჩვენ შევისყიდოთ ეს სახლი და თუ შეიძლება, ძირისძირობამდე დაგვათვალთქვინებთ.

ბაბუღი – სასიამოვნოა, ნენა, გაჰყევი ქალბატონებს. ყველაფერი უჩვენე. სარდაფებიც არ დაივიწყო.

ბაბაღე – საკუჭნაო და ბნელი ოთახებიც. განსაკუთრებით, ბნელი ოთახები მიყვარს.

ბაბუღი – საკუჭნაო რამდენიმე მაქვს. ყველგან მიბრძანდით.

ბაბაღე – *(შვილებს)* შვილებო, ყველაფერი დაათვალიერეთ, ყველა ნაჩერეტში შეიხედეთ. მე გასასვლელში დავდარაჯდები. ყველა გზა უნდა დავუნშოთ. თუ აქ არის, გეფიცებით, ხელიდან არ წაგვივა! აბა, გასწით, საქმეს მიხედეთ! *(გადიან)*

ბაბუღი – რა მონდომებული ხალხია! ეს ჩემი მემასაყე სადღა გაქრა. დამალობანას მეთამაშება თუ რაშია საქმე? ბატონო... რა ჰქვია, ეგეც არ ვიცი. სად ვეძებო? საწოლში არ იყო. ერთი სასადილოში ვნახავ, სასმელს ხომ არ ეტანება? *(გადის. ჩუბად იღება კარი და შემოდის ბაბაღე, ათვალთქვინებს ყველაფერს, იცხირება მავილისა და დივანქვეშ. როცა ბაბაღე დივანქვეშ არის, შემოდის სიმონ დრავაძე)*

სიმონი – ოხ, ვინც ეს კბილისტკივილი მოიგონა! *(წყალს ჩაივებებს)*

ბაბაღე – *(წამოიძართა)* სიკვდილსაც დავიწყებინართ, სიმონ ბატონო!

სიმონ – *(შიშისგან წყალს შეასხამს)* ვაი! ოხ, უკაცრავად! თქვენ აქ დიდხანს დარჩებით?

ბაბაღე – *(წყლის შხეფებს იწმენდს)* ჩხრეკას მოვრჩებით და წავალთ.

სიმონ – როგორ თუ ჩხრეკას? ესე იგი, მაინც გგონიათ, რომ გიორგი აქ არის?

ბაბაღე – დარწმუნებული ვარ. თქვენ, როგორც მეგობარი, რასაკვირველია, არ გასცემთ, მაგრამ ჩემი მოტყუებაც ძნელია. ერთი ადვოკატი კი არა, მთელი სასამართლო უწყება ვერ მაჯობებს.

სიმონ – ესე იგი, თამარი და ანო მთელ შენობას ჩხრეკენ?

ბაბაღე – ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ.

სიმონ – ეშმაკმა დალაზვროს!

ბაბაღე – ისევ კბილმა შემოგიტიათ? დაიგუბეთ პირში წყალი, თქვენგან ხეირი მაინც არ არის... მე კი შემოსასვლელში ვიღარაჯვებ. *(გაღის)*

სიმონ – ქალი კი არა გაწვრთნილი მონადირე ძაღლია. ნუთუ გიორგი ისეთი დოყლაპია, აქედან ვერ გაასწრო? ახლა კი ნამდვილად მემინია მოსალოდნელი სკანდალისა... *(შემოდის ჩიტუნია)*

ჩიტუნია – *(ჩუმად)* ვიღაც კაცია. ნეტა, ძუკუმ ხომ არ მოიყვანა მემასაჟე? უკაცრავად...

სიმონ – *(იცნობენ ერთმანეთს)* თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, სად არის გიორგი?

ჩიტუნია – ჩუმად... დეიდა შინ არის... წერილებს ვეძებ და, რა ვქნა, ვერ ვიპოვნე.

სიმონ – ჯანდაბას თქვენი წერილები და დეიდები... გიორგი სად არის?

ჩიტუნია – აქ იყო და ახლა არ ვიცი... მგონი, სადღაც დაიძალა...

სიმონ – დაიძალა? საწყალი გიორგი! აქ იმას ეძებენ, გესმის, ეძებენ!

ჩიტუნია – ვინ ეძებს? პოლიცია?

სიმონ – პოლიცია რა მოსატანია! ნეტა პოლიცია ეძებდეს. სიღვრი, ცოლი და ცოლის და!!

ჩიტუნია – ყველანი აქ არიან? ოხ, ღმერთო, რას აღარ მომიგონებენ ამის შემდეგ!

სიმონ – ძალიან გთხოვთ, დაიძალეთ, თქვენ და გიორგის ცოლი არ უნდა შეხვდეთ ერთმანეთს!

ჩიტუნია – ეგრეც მოვიქცევი ჩემს ოთახში ჩავიკეტები.

სიმონ – ძალიან კარგსაც იზამთ! მე კი თუ ვიპოვნე, გავაფრთხილებ, რომ ეძებენ!

ჩიტუნია – აქეთ მოდიან! *(თავის ოთახში ჩაიკეტება)*

სიმონ – *(ჩამოივლის ყველა კარს. ჩურჩულით)* გიორგი, მე ვარ! აქ არ არის. გესმის გიორგი, მე ვარ – სიმონი! ყველანი აქ არიან, გეძებენ! არც აქ ჩანს. სამწუხაროა! გიორგი! *(თავს წაადგება ძაბული)*

ბაბუღი – ვის ეძებთ, ჩემო კეთილო?

სიმონი – *(შემცბარი)* იცით... აქ ქალბატონებთან ერთად მოვედი და ...

ბაბუღი – თუ არ შეგიძლია, არ უნდა დალიო. აი, ამ კარში გადი და იქ მონახავ შენს ქალბატონებს.

სიმონ – ოჰ, ღმერთო!

ბაბუღი – სად დამეკარგა ის უსინდისო ნეტა? მიწამ ჩაყლაპა, თუ რა დაემართა? ხომ არ გამეპარა? *(გასასვლელში გადის)*

გიორგი – *(კარს გამოადებს, ცხვირს გამოყოფს)*. მგონი, არავინ არის... *(გამოდის, მტკვერში ამოვანგლულა)* საწოლის ქვეშ დავიმალე... ღმერთო, რამდენი ვაცემინე! აი, მტკვერიც ამას ჰქვია. ეტყობა, საუკუნეა არ გამოუგვიათ. ნეტა ჩემები წავიდნენ? *(ფანჯარასთან მიირბენს)* წასულან! წასულან! არცერთი ეტლი აღარა დგას. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მგონი, გადავრჩი... მაგრამ აქედან მაინც სასწრაფოდ უნდა ავითესო. გზაზე ექიმთან შევივლი, რეცეპტს გამოვართმევ და ჩემს საყვარელ სიდელრს ლამაზ სახეზე ავაფარებ. მაგრამ ჯერ წერილები უნდა მივიღოთ! *(მარჯვენა კართან მიირბენს, შემოდის ძაბული)*

ბაბუღი – აი თურმე სადა ყოფილა! ბიჭო, რა ნემსივით მეკარგები?

გიორგი – *(განზე)* ამას ვეღარ გადავურჩი! *(ხმაძლავა)* ოთახებს ვათვალიერებდი.

ბაბუღი – ეგრეც ვიფიქრე. *(დაკვდა)* აბა, განვაგრძოთ. მიდი, საქმეს მიხედე.

გიორგი – ისევე მასაჟი? რას იზამ, როლი ბოლომდე უნდა გაითამაშო! *(ზელავს)* კარგია?

ბაბუღი – ძალიანაც. თითქოს მეყურება, რემატიზმი ორგანოს როგორ ტოვებს და მირბის. *(პაუზა)*. სახლი კი მყიდველებით სავსეა!

გიორგი – ყველანი აქ არიან?

ბაბული – ყველა.

გიორგი – გვეყო.

ბაბული – რას ამბობ! მართლა ხომ არ გაგიჟდი, თვალებიც გიჟურად რომ უბრწყინავს და უხტის!

გიორგი – აქეთ მოდიან! არ გესმის? *(კართან მივა, ვაიჭვრიტა)* ჩემი თამარის ხმაა, სიმონიც აქ ყოფილა! *(კარს მიხურავს და გასაღებით ჩაკეტავს)*, კინალამ არ ჩავვარდი?! *(გასასვლელისკენ მივბრუნდები)*

ბაბული – *(შეშინებული შესტკეერის)* ბიჭო, რა მოგივიდა? ბევრი ხომ არ გადაჰკარია, ვიდრე გიპოვნედი?

გიორგი – *(გასასვლელის კარიდან გველნაკებნივით შემობრუნდა)* აქ სიდედრი ჩასაფრებულა! მორჩა! ალყაში ვარ! *(ღივილიანად მივსვლი და ჩურჩულად ჩამოვხუტავ)* ეს რააა? ჩურჩი? *(დაბერტყა)* გმადლობთ, ღმერთო! შენ არ მიატოვებ მართალ კაცს გასაჭირში!! *(კარს აკაკუნებენ. ხმა: გააღეთ!)*

ბაბული – ჩურჩულე მომიხდომა გამოძინება! ვერ მოგართვით! ნენა! *(კარს აკაკუნებენ)*

გიორგი – *(ბაბულისთან მივა)* ხმა! კრინტი! ისეთ მდგომარეობაში ჩავვარდი, მინდა თუ არა, უნდა გაგქურდოთ. გესმით! უნდა გაგქურდოთ! *(ჩურჩულად ჩამოვხუტავ)*

ბაბული – მიშველეთ! მიშველეთ! ყალთაბანდი ყოფილა და მემასაჟე მეგონა!

გიორგი – ჩუმა! ქალბატონო! თქვენი ხმა არ გავიგონო! *(შლაპას დაიხურავს, შავ ვუალს სახეზე ჩამოიფარავს)* ყველაფერს ხელუხლებლად დაგიბრუნებთ დღესვე, გესმით, ხე-ლუხ-ლებ-ლად!! აქედან როგორმე უნდა გავაღწიო... რადაც უნდა დამიჯდეს... წყალწაღებული ხავსს ეკიდება, მე კი თქვენს ჩურჩულსა და ვუალს... *(კარს აკაკუნებენ. სიმონი: გააღეთ კარი, თორემ გამოვამტვრევ!)*

ბაბული – ახლავე! ახლავე!

გიორგი – არ გაინძრეთ, თორემ კატასავით მიგახრჩობთ!

ბაბული – არ გავინძრევი, ოღონდ ნუ მომკლავ! ყველაფერი წაიღე, ოღონდ მაცოცხლე!

გიორგი – აბა, წავედი... *(გასვლას რომ დააპირებს, კართან სიდედრს შეეჩხვება. ქალის ხმით)* კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო!

(ძაბულის ვახუდავს, სიდედრს რომ არ უცქიროს). ამ ღამეა ბინის გულისათვის გამაცდინეთ!

ბაბაღე – არ მოგეწონათ, ქალბატონო!

გიორგი – *(ქალის ხმით, სიდედრს)* გემოვნების საკითხია.

ბაბაღე – რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა!

გიორგი – კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! *(ვაღის)*

ბაბაღე – კარგად, ქალბატონო?!

ძაბული – *(ყვირის)* მიშველეთ! ქურდები! ქურდები! *(ამჟამად ღროს იხსნება კარი და შემორბიან თამარი, ანო, ნენა, სიმონი და გაკვირვებით შესცქერიან ძაბულისა და ბაბაღეს).*

ფარდა

მისამე მოქმედება

ისევ მანშიაშვილებისას. ფარდის ვახსნიას ისმის ზარის გაშმაგებული ხმა. მაშო გაირბენს საზოგადო კარის გასაღებად. შემოდის ქურქში და ვუაღიან შლაპაში გამოწყობილი გიორგი. მაშო უკან მისდევს.

მაშო – ქალბატონო! ქალბატონო! ერთი ამას უყურეთ?! საით გაგიწევიათ? ქალბატონო! არ გეყურებათ? შინ არავინ არის.

გიორგი – *(საწერ მაგიდასთან მიქანდება და სავარძელში ჩაჯდება)* მაღლი უფალს შინა ვარ!

მაშო – რა ბრძანეთ? *(პაუზა)* შინ არავინ არის-მეთქი, ქალბატონო!

გიორგი – ქალბატონოლო? ოხ! ჰა-ჰა-ჰა! არ არიან? ძალიანაც კარგი! მოეუცდი.

მაშო – თქვენა, ქალბატონო, რომელი გნებავთ, ადვოკატი თუ იმის მეუღლე?

გიორგი – ადვოკატი, ჩემო კარგო, ადვოკატი... საქმე მაქვს. *(ოფლს იწმენდს. განზე)* ეშმაკმა დალაზხროს, პირი გამიშრა! *(მაშოს)* ერთი ჭიქა წყალს თუ მომიტანთ, ძრიელ დამავალებთ!

მაშო – ახლავე, ქალბატონო! დაგცხებათ, გაინადეთ!

გიორგი – ჯერ წყალი მომიტანე... რომ გეუბნები.

მაშო – *(შეშინდა)* მივდივარ, მივდივარ! *(განზე)* ყველა სულელი და გიჟი აქ მოეხეტება! *(ვადის)*

გიორგი – *(მაშოს გასვლისთანავე წამოხტება, ქურქსა და შლაპას თავის საწოლ ოთახში შეისვრის, კარს გასაღებით ჩაკეტავს და გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს)* ვერ მიცნო ამ ბრიყვმა! ოჰ, რა ვირბინე! მაგრამ ხომ მაინც დაუძვერი. ჩემს სიდიდრს ცხვირწინ ჩაუვარე: „კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! ჰა-ჰა-ჰა! რა მაცინებს მე უბედურს? გულს ისევ ბაგა-ბუგი გააქვს! მართლა დამბლა არ დამეცეს! ამდენის გადამტანი ჩემს მეტი კაცი არ მეგულება. ახლა სისხლის სამართლის დანაშაულები? ჯერ ცოლი მოვატყუე, მერე ყოფილ საყვარელთან ერთად დავითესე, მერე თავი მემასაყუდ გავასაღე და ბოლოს, განუგრაგას ქვრივიც გავძარცვე! დამნაშავე ვარ, რა თქმა უნდა და პატიებას არც ვიმსახურებ. ყველაფერი ეს კი იმიტომ ხდება, ცოლებთან მამა აბრამის ბატკნებად რომ მოგვაქვს თავი. მაშ, მე ბატკანი ვარ?

ვაი! მგონი, ვილაც მოვიდა! *(ყურს მიუვლევს)* არა, მომეჩვენა... *(მუხლებს აჩერებს)* გაჩერდით, რაღას კანკალებთ? პატარძლისა არ იყოს, აღსარება არ ავცდებთ. ახალვე, ერთი საათის მემრე, ზვალ, ზეგ თუ მაზეგ ყოველივე უნდა აუხსნა ჩემს თამრიკოს. კარგად ავწონ-დავწონი ყველაფერს, უტყუარ გასამართლებელ საბუთებსაც მოვიგონებ და ვინძლო, გამომძვრე ამ ხვლანჯიდან. რატომ ღმერთი არ გაიცინებს! ჩემი ოსტატობის წყალობით ათასი თაღლითი და ვირიშვილი სასჯელისაგან მიხსნია და ნუთუ საკუთარი თავის დაცვა გამიჭირდება? *(შემოდის მაშო, ლანგრიტ შემოაქვს წყლით სავსე ჭიქს).*

მაშო – ინებეთ, ქალბატონო! *(გიორგის დანახვაზე შეპყვირებს და ყველაფერი ხელიდან უცვივს).*

გიორგი – რა გაკვივლებს, შე სულელიო?

მაშო – ბატონო... თქვენა ხართ?

გიორგი – ველარა მცნობ?

მაშო – როდის მობრძანდით?

გიორგი – ეს წუთია და უკანასკნელად გაფრთხილებ: ერთხელაც დაგრჩება საზოგადო კარი ღიად და ამ სახლს გამოეთხოვები!

მაშო – მაპატიეთ, ბატონო... მაგრამ, მგონი, დავკეტე...

გიორგი – მაშ, როგორ შემოვედი? ეს ერთი. მეორე: როცა შინ არავინ არის, ჩემს სამუშაო ოთახში კაციშვილმა არ გაიჭაჭანოს. შემოვედი და რას ვხედავ: ვილაც ბებრუხანა გამხლართულა ამ სავარძელში და ჩემს ქალღლებში იქექება. იცოდე, ეს უკანასკნელი გაფრთხილებაა!

მაშო – ძალიან საქმე მაქვსო, თუ შეიძლება დაველოდებიო და რა ვიცოდი, ქალღლებს თუ ჩაუჯდებოდა! *(თან ლანგარსა და ჭიქის ნამსხვრევებს კრეფს).*

გიორგი – საქმე კი არა... ერთი თუმანი დამტყუა და გაიქცა... წადი, კარი ჩაკეტე.

მაშო – ახლავე, ბატონო! *(ვარბის)*

გიორგი – კიდეც ცოტა და გადავრჩები! ნეტა, რად იგვიანებენ?

მაშო – *(შემორბის შეშინებული)* ბატონო, ბატონო, ეს რა დავგემართა... იმ ქალსა, იმ მათხოვარსა, თქვენი ქურქი მოუპარავს.

გიორგი – ნეტა რომელი ქურქი უნდა წაეღო? რა სულელი ხარ, მაშო! *(სასოწარკვეთით)* რას მეუბნები! *(ვანზე)* სულ დამავიწყდა, ჩემი ქურქი ხომ იმ ქალთან დამრჩა საკიდზე ჩამოკონწიალებული.

სიღერმა რომ იცნოს? ვაი, დელიჯან! მგონი, ყველაფერი თავიდან იწყება.

მაშო – წავალ, გავიქცევი, უბნის პოლიცმაისტერს შევატყობინებ!

გიორგი – მთლად ნუ გამოყეყენდი! ქურქი მართლა არ არის?

მაშო – არა!

გიორგი – არ არის და ნუ არის. პოლიციას ყოველ წვრილმანზე ხომ არ შევაწუხებთ?!

მაშო – ეგ როგორ იქნება?! შევატყობინოთ და აუცილებლად იპოვნიან... ცხელ კვალზე...

გიორგი – ვერ იპოვნია. ჩემი ქურქის ამბავს მასწავლი. თუ დაიკარგა, მორჩა, ვეღარ იპოვნი. შენის უთაობით დაიკარგა და გირჩევ, ხმა ჩაიკმინდო, გესმის? ქალბატონებთანაც არაფერი წამოგცდეს, თორემ ხომ იცი ბაბაღეს ამბავი: იმ ქურქს გადაგაყოლებს.

მაშო – რომ მომკლან, მთქმელი არა ვარ... გმადლობთ... *(ძივარდება, ხელზე კოცნას უპირებს, გიორგი არ ანებებს)* თქვენა ხართ ჩემი მსსნელი... გმადლობთ. არ ვიტყვი, რომ მომკლან, ვერ მათქმევინებენ. *(ზარი)* მოვიდნენ! *(ვარბის)*

გიორგი – *(აღელვებით)* მოვიდნენ... აბა, გიორგი, ყოჩაღად! *(სავარძელში ჩაესვენა)* თუ ნახეს ჩემი ქურქი, ყველაფერი დამთავრებულია, თუ ვერ ნახეს და ბრწყინვალედ მოვიგებ ამ საქმეს. *(ქალაღიღებს ჩაუფიქრდება. შეშოდიან თამარ, ბაბაღე, ანო, სიმონი და მაშო)*

თამარ – მაშო, შენ ამბობ, დიდი ხანია შინ არისო?

მაშო – კარგა ხანია, ქალბატონო.

თამარ – არაფერი მესმის, დედიკო.

ანო – არც მე.

ბაბაღე – ადვოკატი რის ადვოკატია, ვერ გამოძვრეს.

სიმონ – *(განზე)* ყოჩაღ! მშიშარა უძახე და დროზე კი გამოპარულა.

თამარ – *(ვიორგისთან მიიღებს)* გიორგი, ჩემო სიცოცხლე, შენა ხარ?

გიორგი – *(განზე)* ესე იგი, ქურქი ვერ დაუნახავთ! *(ხმაძლოა)* მოხვედით?

(ყველას) ყველამ მომიტყვეთ, შევაწუხებთ. ამ ჩემის უნებლიე ავადმყოფობით. წარმოიდგინე, თამარ, დამბლა უკვალოდ გაქრა!

თამარ – ძან გამახარე. იცი, რა დამემართა, ენაწართმეული რომ გნახე? სად გაქრი, სად წახვედი, გიორგი?

გიორგი – როგორ? განა სიმონმა არ გითხრათ?

სიმონ – ვუთხარი, მაგრამ ვინ დამიჯერა?

გიორგი – თამარ, განა შენ ჩემი აღარა გჯერა? ოდესმე მომიტყუებია?
გამაგებიინეთ, რაშია საქმე?

თამარ – ჩემი რა ბრალია... დედაჩემმა აიტყუა...

ბაბაღე – დიახ, მე ავიტყუე... აბა, მითხარი, ჩემო პატროსანო სიძევ,
რომელ ექიმთან ბრძანდებოდი?

გიორგი – შარაბიძესთან, თამარ, ვისთან წავილოდი? ... ამაზე კარგი
ნერვის ექიმი ტფილისში დღეს არ მოგვეპოვება. თქვენ რომ
შინიდან გაცვივდით, უკეთ შევიქენ და შარაბიძესთან წავედი.

თამარ – მერე, რაო, ექიმმა?

გიორგი – ხომ იცი, რა კაცია... ესაო, ისაო... ყველაფერს ვერ
ვიმახსოვრებ... ძალიანაც კარგადა ხარ, ნუ შეშინდიო. კიდევ კარგად
გადარჩენილხარ, თორემ შენნაირებს უარესად ურთულდებათო.

ბაბაღე – *(განზე)* თვალეზე ვატყობ, ტყუის... ჩვენ კი პირი
დაგვიღია და ვუსმენთ.

ანო – წამალი გამოგიწერა?

გიორგი – მითხრა, ყველაზე კარგი წამალი შენი სიმშვიდეა და
ეცადე, ნერვი არაფინ მოგიშალოსო. ეგეც არ იყოს, ქურქი...

ყველა – რა ქურქი?

გიორგი – *(განზე)* თავიდან აღარ ამომდის ეს ქურქი... *(ხმაძღვლა)*
სითბოა საჭირო და გარეთ რომ გამოხვალ, ქურქი ჩაიცვო.

ბაბაღე – *(განზე)* ტყუის! ტყუის!

თამარ – სულ ეგ არის?

გიორგი – განა არ კმარა? ჰო, კიდევ რაღაც ჯანდაბა გამომიწერა:
დილა-საღამოს ოც-ოცი წვეთი.

ანო – მომეც რეცეპტი, აფთიაქში გავიქცევი და შევუკვეთავ.

გიორგი – რეცეპტი? *(ეძებს, ჯიბეებს ამოიბრუნებს)* ნეტა სად
წავიდე?

ბაბაღე – ქურქის ჯიბეში ხომ არ ჩაიდეთ?

გიორგი – *(სწრაფად)* არა, არა, ქურქის ჯიბე რა შუაშია?

ანო – წავალ, ვნახავ. *(გასვლას აპირებს)*

გიორგი – მართლა აღარაფერს მიჯერებთ! *(ხმაძღვლა)* რა ხდება,
რა მოგივიდათ? ჩემი ქურქის ამბავს მასწავლით? გეუბნებით,
იქ არ არის-მეთქი და მორჩა! ნუ მანერვიულებთ. გინდათ, რომ
დამბლამ გამიმეოროს?

თამარ – დამშვილდი, ჩემო გიორგი, ჩვენ კი არ განერვიულებთ, თავადა ხარ უმიზეზოდ ალგზნებული.

სიმონ – დაკარგავდა!

გიორგი – დაკარგე, მაშ, რა ჯანდაბაა! ძალიან კარგად მახსოვს, ექიმს გამოვართვი, მარჯვენა... არა, მარცხენა ხელით და მერე... გაქრა! ჯანდაბას! ისედაც მახსოვს, რაც გამომიწერა: ვალერიანის წვეთები.

თამარ – როგორ, ვალერიანის წვეთები დამბლასა შველის?

ანო – პირველად მესმის?!

ბაბაღე – სტყუის, გეუბნებით, სტყუის! (*განზე*) მიჯნურობდა და ახლა წვეთებით, თავს იკატუნებს.

გიორგი – დიახ, ვალერიანის წვეთები. გიკვირთ, არა? მეც ზუსტად თქვენსავით გამიკვირდა, რეცეპტს რომ დავხედე.

ბაბაღე – ეგ ყოველივე კარგია, მაგრამ თუ არ შეწუნდებით, გვითხარით, ვინ ქალი ბრძანდებოდა თქვენთან? როცა ჩვენ, ყველანი. თავკუდმოგლეჯილი ვეძებდით ექიმებსა?

გიორგი – ქალიო? (*სიმონს*) შენც, ბრუტოს?

ბაბაღე – ბრუტიანიო? მით უარესი თქვენთვის.

თამარ – მართლა, გიორგი, იმ ქალს შენს მაგიდაზე დარჩა ჩანთა, რომელშიც სადარბაზო ბარათი იდო.

გიორგი – (*განზე*) აი, თურმე როგორ მიპოვნეს! (*ხმაძღლა*) თქვენ რომ წაბრძანდით და მომაკვდავი უპატრონოდ მიმატოვეთ...

ბაბაღე – რატომ უპატრონოდ, აკი სიმონი დავტოვეთ?

გიორგი – ამას ისე სტკიოდა კბილები, რომ კედლებზე დარბოდა. უცებ, ვხედავ, ვილაც ქალბატონი შემობრძანდა, როგორც ყოველთვის, მაშოს კარის დაკეტვა დავიწყნია.

თამარ – გესმის, დედილო?

გიორგი – ძან გულმავიწყი გახდა. შეყვარებული ხომ არ არის?

ბაბაღე – შეყვარებული ვინც არის, კარგად ვიცი...

გიორგი – ჰო და, შევეგებე ქალბატონს...

ბაბაღე – აკი, მარცხენა ფეხი გამიჩერდაო, როგორ შეეგებეთ?

გიორგი – (*ბრაზით*) როგორ და მარჯვენაზე... ასკინკილა... გესმით? მივკინკილობ და თან ვბრაზობ. ვბრაზობ და, რა თქმა უნდა, ვბურტყუნებ. ჩემი ღმუილისა რომ ვერა გაიგო, გიჟი ვეგონე და ისე მოუსვა, ჩანთა კი არა, თავიც რომ არ დარჩა, ის მიკვირს. სულ კეფაში ირტყამდა ქუსლებსა. (*თამარს*) ნუ სწუნხარ, ჩემო

სიცოცხლე, სადარბაზო ბარათი გეჭონია და სიმონს ვთხოვ, ვიცი, არ დამზარდება, წაუღებს მაგ ჩანთას პატრონსა.

ანო – უკვე გახლდით მაგ მისამართზე, მაგრამ ჩანთის პატრონი ვერა ვნახეთ.

გიორგი – როგორ? უკვე იყავით?

თამარ – დიახ, მაგრამ ნეტა არ წავსულიყავ. სახლის პატრონი ჭკუიდან შეშლილი აღმოჩნდა. სახლს ყიდის, მყიდველებით იქაურობა გაუვსია და თან ღრიალებს, გამქურდესო. ძლივს გამოვალწიეთ.

გიორგი – ყოჩაღად მოქცეულხართ. უცხო სახლში შეიძლება ისეთ უსიამოვნებას გადაეყარო, ჩემნაირმა აღვოკატმაც ვერ გიშველოთ!

თამარ – თავგზა ამებნა. იმედია, შემდგომ შენს მაგიდაზე ქალის ხელჩანთებს აღარ ვიპოვნი.

გიორგი – *(ხელზე კოცნის)* რას ამბობ? ჩანთა კი არა, ქალს ჩემს ოთახში ფეხს აღარ დავადგმეკინებ. *(იციზიან. პაუზა)* მაგრამ, ხალხნო, ნამუსი აღარა გაქვთ, სტუმარს საუზმე არ უნდა? ანო, გაამზადევი ისპანახი?

ანო – თითქმის, ქინძს ჩავურევ და ეგ არის!

გიორგი – აბა, მიხედე საქმეს, თორემ მეცა და სიმონიც თუ გადავგორდით, სხვა რამ არ გეგონოთ, შიმშილის გულყრა იქნება! *(იციზიან)* მაშ, რა დაგვემართება, სამი საათია, ჩვენ კი არ გვისაუზმია.

თამარ – *(რადიკას სწერს)* ეხლავ გავაგზავნი ვალერიანის წვეთებზედ. მაშო! მაშო! *(ვაღის).*

ანო – წამო, დედილო, სუფრა გაეშალოთ.

ბაბაღე – წამოდი, ჩემო ანგელოზო. *(გიორგის ზიზღით უცქერის)* იქ იყო! გინდა, სანაძლეოზე თავს დავდებ, რომ იქ იყო, იმ კახპებში! *(სიმონს ტკბილად)* ჯივრის ჩახრაკული თუ გიყვართ?

სიმონ – უკაცრავად კი ვარ გამოთქმისათვის, მაგრამ ისე მშია, უმსაც გეახლებით.

ბაბაღე – ანო, გესმის, სიმონმა რა ბრძანა?

ანო – ნუ სწუხარ, დედი, იმდენს ვაჭმევ, მაგიდიდან ვერა დგებოღეს.

ბაბაღე – ხუთი წუთი კიდევ გვაპატიეთ, ბატონო სიმონ. *(სიმონი თავს დაუკრავს)* წამოდი, ანო. *(ვაჯღუნ, გიორგი და სიმონი ერთმანეთს ეხუტებიან)*

სიმონ – *(ჩუმად)* ამათ იქ ვახლდი.

გიორგი – ვიცი, ფანჯრიდან დაგინახე.

სიმონ – სულ ააქოთეს იქაურობა. ოთახში შენ ჩაგვკეცე?

გიორგი – აბა რა!

სიმონი – მანამდე სად იყავ?

გიორგი – დაბული განუგრავას საწოლქვეშ.

სიმონ – მადლობა ღმერთს, ყოველივე წესიერად მოგვარდა. და შენს მიჯნურობას ზუგდიდელ ქვრივთან ველარავინ შეიტყობს.

გიორგი – არც აგრეა საქმე.

სიმონ – კიდეც რა ამბავია?

გიორგი – შენი იმედი მაქვს: თუ მიშველი, მიშველი, თუ არა და დავიღუპები. იქ რომ ჩაგვკეტეთ, შინ მინდოდა გაქცევა, მაგრამ სიდედრი კართან დარაჯობდა...

სიმონ – მერე, როგორ გამოეპარე იმ გველეშაპსა?

გიორგი – სისხლის სამართლის დანაშაული ჩავიდინე.

სიმონი – ახლა არ მითხრა, დაბული განუგრავა გავაიმასქენიო!

გიორგი – ეგ არა, მაგრამ გავქურდე!

სიმონ – რაო? გავქურდეო?

გიორგი – სხვა გზა არ იყო: უკანა კარის ალაგი არ ვიცოდი, საზოგადო კართან, სადაც საკიდზე ჩემი ქურქი ეკიდა, როგორც გითხარი, სიდედრი მიდარაჯებდა. ავდექი და დაბულის ქურქი და გუალანი შლაპა ჩამოვართვი.

სიმონ – გადაიცივი და წამოხველ! ხა-ხა-ხა!

გიორგი – *(ქალივით ივრიხება)* მაშ, რა გევონა! ხა-ხა-ხა.

სიმონ – ეს რომ გაიგოს, ნამდვილი ღამბლა იმას დაეცემა! ხა-ხა-ხა!

გიორგი – თანაც წამოსვლისას გამომეშვიდობა და მეც მივაგებე: კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო-მეთქი! ხა-ხა-ხა!

სიმონ – და მაინც ვერ გიცნო? ხა-ხა-ხა!

გიორგი – ვერა! ხა-ხა-ხა! *(ზარი. ხარხარი წამსვე შეწყდება)* ვაიმე!

სიმონ – გიორგი, განუგრავა იქნება, თავის ნივთებს მოაკითხავდა. რა გვეშველება?

გიორგი – შეუძლებელია! ღმერთმა ნუ ქნას! *(ვარძის საზოგადო კარისაკენ)*

სიმონ – ეშმაკმა დალახვროს! სულ სამი საათია და ამ ოჯახის სტუმარი ვარ და უკვე ავად გამხადეს: ყველაფრისა მეშინია,

გულიც აჩქარებით მიცემს! ეგ მაკლია, მოციმციმე არითმია
დამემართოს! (*შემობის გიორგი ბარათით ხელში*)

გიორგი – დაწყველილი ფოსტალიონი იყო!

სიმონ – გულები კი გაგვიხეთქე და! ვიფიქრე, საწყალი გიორგის
აღსასრული დადგა მეთქი!

გიორგი – დადგება კიდევ, თუ არ მიშველი!

სიმონ – მესმის: მიმაქვს ქურქი და შლაპა და მტკვარში
გადავუძახებ!

გიორგი – გაგიჟდი! სხვისი ნივთები მტკვარში რომ იპოვონ, იცი,
რა გველის?

სიმონ – მართალი ხარ. ღმერთო, აქ, ტფილისში, მასწავლებლად
ჩამოვედი და გიმნაზიის ნაცვლად, მგონი, სატუსაღოში
ამომაცოფინებენ თავს.

გიორგი – ეგ რომ არ მოხდეს, შევახვევთ ქურქსა და შლაპას
ერთ შეკვრად, წაიღებ რიყეზე და უკან ჩემს ქურქსა და ბოხოსს
მოიტან. ამით საბოლოოდ დამთავრდება ჩვენი თავგადასავალი.

სიმონ – ახლავე წავილო? ადამიანი არა ხარ. მზე გადაიხარა
და ლუკმა პირში არ ჩამიდვია! უი, ეს კბილები მაინც არ
მტკიოდეს!

გიორგი – მეგობრისათვის მეტსაც გაძლებ მშვიერი. თანაც დროც
ხელსაყრელია. ყველანი საუზმით არიან თავშექცეული, მთხლე
კი აფთიაქშია! ისე გახვალ, ვერავინ დაგინახავს. არ დაგავიწყდეს,
ბოლიში მოუსადე ძაბულიკოს, არც ჩემი ქურქ-ბოხოსის წამოღება
დაგავიწყდეს. ესენი თუ გიკითხავენ, ვეტყვი, კბილები ისე
ასტკივდა, სტომატოლოგ-ქირურგთან გაიქცა-მეთქი.

სიმონ – კი, მაგრამ, შენს ქურქს აქ როგორ შემოვიტან, ხომ
გამჩხრეკავენ!

გიორგი – ეგ მართლია, შესაძლოა, დაგიდარაჯდეს ის ცხრათავიანი
ურჩხული და გაგჩხრიკოს კიდევ. (*მოიფიქრებს*) ზედ ჩაიცვი.

სიმონ – ჩამეტევა, რომ? ჩემს პალტოზე რას ჩამეტევა.

გიორგი – უნდა ჩასტო!

სიმონ – თვალებს ხომ არ დაითხრიან: არა გკითხავენ, შენი ქურქი
რად აცვიო?

გიორგი – პასუხი მზადა მაქვს. კბილებისა არ იყოს, სიმონს
პალტოც ცუდი აქვს და ვათხოვე-მეთქი.

სიმონ – ჭკვიანურია. მოიტა ქურქი და შლაპა! (*გიორგის შემოაქვს*)

ქურჯი და შლაპა და აძლევის სიმონს.) ზეწარიც მოაყოლე, გავახვიოთ. *(ხმაური)*

გიორგი – არიქა, მოდიან! *(შევარდება თავის ოთახში. სიმონიც თავის ოთახს მიაშურებს, მაგრამ ვაში ვუალიანი შლაპა დაუვარდება. შემოდის ბაბაღე)*

ბაბაღე – ნეტა ვიცოდე, რა აცინებდათ. მამაკაცი თუ იცინის, ესე იგი რაღაც ბოროტება აქვს ჩაღენილი. *(გამოდის სიმონ)* ჩემო კარგო, გიორგი სადღაა?

სიმონ – რა მოგახსენოთ. ამ წუთს აქ იყო. *(და ორივე ერთად დაინახავს იატაკზე დაგდებულ შვევეულიან შლაპას!!!)*

ბაბაღე – *(განზე)* შლაპა!

სიმონ – *(განზე)* ეშმაკმა დალახვროს, ხელიდან გამვარდნია!

ბაბაღე – *(ხელ-ხელა შლაპისკენ მიიწევს)* თავის საწოლში ხომ არ არის?

სიმონ – ალბათ...

ბაბაღე – *(შლაპაზე)* ეს რა არის?

სიმონ – *(ვეფხვივით ისკუბებს, დააცხრება შლაპას, აიღებს და ზურგსუკან ძლავს)* იცით... იცით... ეს ჩემია.

ბაბაღე – დახედეთ მაინცა. განა ვუალიანი შლაპა გახურავთ?

სიმონ – რასაკვირველია, არა. ეს მოხუცი ქალის შლაპაა. *(ხელში ატრიალებს)* ხომ ხედავთ? *(უცებ თავის კარს გამოაღებს, შლაპას შეისვრის და კარს გასაღებით დაკეტავს)* იცით... იცით, გეტყვით, თუ არ დამცინებთ... დედაჩემის შლაპაა. *(ტირილით)* სადაც წავალ, ყველგან თან ვატარებ... ვაცხოვნე მისი სული.

ბაბაღე – მაგაზე ვინ დაცინებთ, ერთგული შვილი ბრძანებულხართ, ბატონო სიმონ! *(განზე)* ტყუის! ოთახში ქალი ეყოლება, იმიტომ ჩაიგდო გასაღები ჯიბეში. თანაც ის ქალი ჩვენი გიორგისა იქნება და არა ამ საწყლისა. ახლავე ანოს გამოვგზავნი და დააყაჭინებს ყველაფერს. *(ხმამაღლა)* ძრიელ გამახართ, ასეთი ჭირისუფალი რომ აღმოჩნდით... დედის ხსოვნა!.. იშვიათად გაიგონებს კაცის ყური ასეთ სასიამოვნო რამეს. *(უცებ ისე შეჰკვივლებს, სიმონიც შეხტება)* უი! იცით, რაზე გეახელით? ყავას რძით მიირთმევთ თუ?..

სიმონ – *(კრძაღვით)* ურძეოდ, ქალბატონო ბაბაღე.

ბაბაღე – ურძეოდ იყოს... *(განზე)* ახლავ ანოს გამოვგზავნი! *(კადის)*

სიმონ – ღმერთო, ეს რა დამმართნია? ნეტა როდის გამივარდა ხელიდან ის ოხერი შლაპა? ჩქარა უნდა გავაქრო აქედან, თორემ... *(ოთახის კარს გასაღებად მიაღვია. შეძლიის ანო).*

ანო – ასე სად მიგეჩქარებათ?

სიმონ – *(გასაღები გაუფარდება)* მე? არსად. არა, მივდივარ... კბილის ექიმთან!

ანო – საუზმე? ამდენი ვიწვალე და უსაუზმოთ აპირებთ წასვლას? არ გაგიშვებთ.

სიმონ – გმადლობთ ზრუნვისთვის.

ანო – თქვენთვის, ბატონო სიმონ, არაფერს დავიშურებ.

სიმონ – არაფერს, არაფერს? სულ არაფერს?

ანო – გნებაჲ, სადილსაც მოგიმზადებთ. მართლა, ოთახი როგორ დამილაგებია?

სიმონ – კარგად! მშენიერად! ბრწყინვალედ!

ანო – არა, ფარდები რიგიანად ვერ დაგიკიდეთ...

სიმონ – ისე ჰკიდა, იტყვი, ნეტავი შენს დამკვიდავსაო. გმადლობთ, *(ხელზე კოცნის)* გმადლობთ!

ანო – ნეტა რა გესმით კაცებს ფარდებისა. თავად უნდა შევაკვლო თვალი.

სიმონ – არ შეიძლება!.. ისე არეული მაქვს იქაურობა, რომ... არა, ვერ შევიშვებთ!

ანო – ტყუილებიცა გცოდნიათ? არეკას როდის მოასწრებდით, ხან ჩვენთან იყავით, ხან გიორგის ემასლაათებოდით. ბატონო სიმონ, სამარე ვარ. თუ იქ სხვისა საიდუმლოება ჩაკეტეთ, იცოდეთ, ჩემს მეტს არავის ეცოდინება.

სიმონ – სხვისა, ღმერთს გეფიცებით, სხვისა... *(განზე)* მაინც წამომცდა! ასეთ ლამაზ ქალთან არ მეხერხება დიპლომატური საუბარი და რა ვქნა!

ანო – მართლა! ვგიჟდები ისე მაინტერესებს სხვისა საიდუმლოებანი! *(სიმონთან მიიღობენს, მხრებზე მკერდით ეხება. ჩუმად და ვნებით)* შავგვრემანია?

სიმონ – *(ჩუმადვე)* არა, წითურია, ატლასის სარჩულით!

ანო – ატლასის სარჩულითო? რაღაც ვერ გაგიგეთ!

სიმონ – მეტს ვერარას გეტყვით, ანო. ოდესმე, ყოველივეს შეიტყობთ, მაგრამ ახლა, არ შემიძლია... ვერ გეტყვით!

ანო – ერთი ასო და თვითონ მივხვდები.

სიმონ – არ შემიძლიან!

ანო – ერთი ასო, გთხოვთ, წინა...

სიმონ – წინა ასო?

ანო – უკანა იყოს, ბატონო!

სიმონ – რეებს მეუბნებით, ანო?

ანო – მე კი პატიოსანი და წესიერი მეგონეთ! პირველივე ნახვით მომეწონეთ!

სიმონ – მეც ერთი ნახვით შემიყვ... აღვფრთოვანდი... თითქოს მაგნიტით მიმიზიდეთ!

ანო – მეც ვიგრძენი აგრე რიგი მიზიდულობა! მაგრამ ახლა ვნანობ!

სიმონ – ვერა, ვერ გეტყვით!

ანო – ხომ დაგაიბედეთ: საიდუმლოს საფლავში ჩავიტან!

სიმონ – არა და არა! ვერ გამოვთქვამ!

ანო – საზიზღარო გეომეტრიავე! (*კარისკენ მიდის*) გეზუმრეთ, ბატონო ჩემო, სულაც არ მაინტერესებს ეგ თქვენი საიდუმლო. ჩემთვის სულ ერთია. მითუმეტეს, წითური ყოფილა, თანაც სხვისა! ხომ ნაღდად სხვისაა?

სიმონ – მაშ, ქალის ქურქს კაცი ჩაიცმევს? (*განზე*) ფუი, რა ვქნა, ვერ ვუმკლავდები ლამაზ ქალებსა!

ანო – (*განზე*) გასაგებია, იმ ქალს ჩანთის გარდა ქურქიც დარჩენია! სასწრაფოდ დედას უნდა შევატყობინო! რა ვიცით, ეგებ თავიც აქ დარჩა! (*ხმაძლვლა*) ბატონო სიმონ, ხმა, კრინტი აღარ დასძრათ! აი ნახავთ, როგორ შემიძლია სხვისა საიდუმლოს შენახვა. თქვენ კი... რა კარგი და კეთილი ხართ, საოცარია პირდაპირ!

სიმონ – მართლა? (*ხელებს უკოცნის, ეფერება*) თქვენც, თქვენც მშვენება ხართ ამ სახლისა, არა-ტფილისისა, არა-მთელის ქვეყნიერებისა! (*გამოდის გიორგი*)

გიორგი – სიმონ, შენ ისევ აქა ხარ? (*შენიშნა ანო*) ანო, ჩემო კარგო, ღმერთი არა გწამთ, გვასაუზმეთ, შიმშილით კუჭი მიხმება!

ანო – ახლავე. (*განზე*) უნდა გამაგდოს! დამაცადე, ახლავე დედიკოს გამოვიგზავნი... თამარსაც! (*ვაღის*)

გიორგი – ჩქარა, სიმონ, სწრაფად! მე რიყეზე მგონიხარ და შენ კი თურმე ანოს ეარშიყები!

სიმონ – (*გასალებს ძლივს იპოვნის, კარს გააღებს*) აქედან წასვლა არც ისე იოლი საქმე ყოფილა! ახალავე, ახლავე! (*თავის კარლია ოთახში შვეა. ზარი*)

გიორგი – ისევ ფოსტალიონი იქნება... ან კლიენტი... (*სიმონის*)

ოთახთან მიღის) ჩქარა, თუ ღმერთი გწამს! წერილები არ დაგავიწყდეს, იცოდე! *(მაგიდას მიუჯდება. ისევ ზარი. ანო გიორგის შეუმჩნეველად შემოსასვლელში გაიძურწება)*.

სიმონ – *(შეხვეული ბოხჩით მიიღებს გიორგისთან. ჩურჩულით)* გიორგი, მივდივარ, მაგრამ იცოდე, ბოლო თხოვნას გისრულებ. ამ მტკივნაის კბილებითა და მშიერის კუჭით მთელ ტფილისში აღარ ვირბენ.

გიორგი – აღარც დაგჭირდება, აღარასოდეს! გმადლობ, სიმონ, ყველაფრისათვის გმადლობ! *(ხელს ჩამოართმევს)* ახლა კი გაფრინდი! როგორც იქნება, იმ ზუგდიდელ ქვრივს თავიდან მოვიშორებ! აბა, გასწვი, სწრაფად! *(სიმონი გარბის, გიორგი მისდევს, საზოგადო კარი იღება და შემოდის ბოლჩიანი ძუკუ. ძუკუს ანო მოჰყვება. სიმონი და ძუკუ ერთმანეთს შეასკდებიან და იქვე მდგარ სავარძელში ჩაესვენებიან. ანო კარში გაიკვიმება. გიორგი გაშეშდება)*.

ძუკუ – *(სიმონს)* თუ უკაცრავად არ ვიყო თქვენს ბოხჩაში ქურქი და შავვუალიანი შლაპა უნდა იქნებოდეს – იქნება!

სიმონ – დიახ. თქვენსაში კი ქურქი და ბოხჩოხი, ზომ!

ძუკუ – ზუსტად გამოიცანით!

ანო – გაცვალეთ ბოლჩები, გაცვალეთ, ნუ გერიდებათ... ხა-ხა-ხა... დედა, დედიკო, თამარ! კომედიია, მაშ რა არის?! *(შემოდიან ბაბაღე და თამარი)*

თამარ – დედა, რაები ხდება, გამაგებინეთ!

ბაბაღე – სიმონ, რა ბოხჩა გიჭირავთ! გვიპასუხეთ!!

სიმონ – ქურქია, ატლასის სარჩულით და ის შავვუალიანი შლაპა!

ბაბაღე – ვერაფერი გავიგე!

ძუკუ – სულ უბრალო ამბავია, ქალბატონო! *(სიმონზე)* ეს ბატონი გახლდათ ქალბატონ დაბული განუგრავასთან და, ამბობენ, სამზარეულოში გადაუყლურწავს, თავისი ქურქი დაუტოვებია და ქალბატონ დაბულის ქურქი ჩაუცვამს. ხა-ხა!

სიმონ – რას ამბობთ?! დილიდან ნამცეცი არ ჩამსვლია პირში!

ანო – *სიმონი* რა შუაშია, ეგ სპექტკლი სხვამ გაითამაშა!

ბაბაღე – *(აღტაცებით)* გიორგი!! გიორგი ავკეთესა და თანაც „კარგად ბრძანდებოდეთ ქალბატონო!“ მე მომატყუა! მე გამაცურა! ამ ყაჩაღმა ამან?

თამარ – შეუძლებელია! დაუჯერებელია! გიორგი, რას გაჩუმებულხარ?

გიორგი – *(ძუღარით)* დამნაშავე ვარ! ყველაფერში მე ვარ დამნაშავე.

თამარ – როგორ? იქ იყავი, როცა სახლსა ვჩხრეკდით?

გიორგი – ყველაფერში დამნაშავე ვარ. ჩემზე უბელური კაცი არ მეგულება ქვეყნად!

ძუკუ – ოხ, თქვენ ბრძანდებით გიორგი შანშიაშვილი? ძალიან სასიამოვნოა. ზუგდიდელი ცხენით მოვაჭრე ძუკუ კვარაცხელია. ქალბატონმა ჩიტუნამ მთხოვა ქურქთან ერთად ეს ბონდეროლიც გადმომეცა.

თამარ – *(გამოგლეჯს პაკეტს)* ჩიტუნამ? რომელმა ჩიტუნამ.

ძუკუ – ძაბული განუგრაავას დისშვილი რომ არის, ქვრივი. უნდა ბოდიშები მოგიხადოთ. მეტი დავალება აღარ მაქვს. კარგად ბრძანდებოდეთ! *(გადის)*

თამარ – გიორგი, მართლა ეს ქურქი გადაიცვი? ქუჩაში აგრე გამოწყობილი გამოხველ? შენ გაქურდე განუგრაავას ქალი, მიშველეთო, რომ ყვიროდა?

გიორგი – ხომ გამოგიტყდით, დამნაშავე ვარ.

ბაბაღე – აი, ხომ მართალი ვყოფილვარ? ძლივს! გმადლობ, ღმერთო!

თამარ – *(ღეღას)* გამანებე თავი! *(კონვერტს ხსნის)* „ჩემო გულის მურაზო, ჩემო ჩიტუნია!“ გიორგი, ეს შენი ხელწერაა?

გიორგი – *(წამოხტება, ცოლს მიეჭრება)* ჩემია, მაგრამ თარიღს დახედეთ თარიღს! არც კი მახსოვს, როდის დავწერე. მაპატიე, თამარ!

თამარ – *(სავარძელში ჩაესვენა)* შენ უხეშად დამიმსხვრეე ოცნებანი! შენი ერთი სიტყვისაც აღარა მჯერა!

გიორგი – მაპატიე, ჩემო სიცოცხლე... ხომ მაპატიებ? ვიცი, შენი კეთილი გულის ამბავი, მაპატიებ! ხომ მაპატიებ, ჩემო ანგელოზო?

სიმონ – თამარ! თამრიკო! გთხოვთ, მომიტევეთ, თქვენს საქმეებში ჩარევა, მაგრამ ისე მეცოდება გიორგი, რას არ მოვიმოქმედებდი, სიმშვიდე და ბედნიერება რომ დაუბრუნდეს თქვენს ოჯახს.

ანო – ოჰ, ოქროს გული გქონიათ, ბატონო სიმონ!

სიმონ – *(ანოს)* გული რა შუამია?! საწყენი ის არის, რომ

წარსულის გამო მოხდა სკანდალი. წარმოიდგინეთ: მე ვარ გიორგი, ვერთობი, ვმიჯნურობ, ათასგვარ სისულელეს ვჩადი და უცებ, გულწრფელად შემეყვარდი! ვიმედოვნებ, ძალიან არ უნდა გეზიზღებოდეთ!

ანო – არა, რას ბრძანებთ, პირიქით!

სიმონ – მით უმეტეს! ჰოდა, მოვედი და გეუბნებით: ანო, ტატანო, გულწამტანო ჩემო ანო, მიყვარხართ! ცოლად გამომყევით! რას მიპასუხებთ?

ანო – რა უნდა გიპასუხოთ: სიმონ, წამიყვანე, შენი ვარ!

ბაბაღე – *(უცხიდან)* ღმერთმა გაბედნიეროთ, შვილებო! ღმერთმა დაგლოცოთ! ღვთის მშობელი იყოს თქვენი მფარველი! მაკოცე, სიმონ, გილოცავ!

სიმონ – რას ბრძანებთ?! უკაცრავად... მე ხომ...

ბაბაღე – თამარ, ჩემო სიცოცხლე, სიმონ დრავაძემ ანოს ხელი სთხოვა!

გიორგი – *(ეცემა სიმონს)* ძმაო! გადამეხვე, უნდა გადაგკოცნო! ანო საუნჯეა! მზეთუნახავი საუნჯე! ნამდვილად გაგაბედნიერებს! გილოცავ!

სიმონ – კი, მაგრამ მე ხომ მაგალითისათვის... ვიცი, საუნჯეა, მაგრამ...

გიორგი – ანგელოზი, ფრთაშესხმული ანგელოზია! ო, როგორ გამახარე, რომ იცოდე, როგორ გამახარე! როგორ გამახარე და გამანთავისუფლე!!

სიმონ – გაგანთავისუფლე? როგორ?

გიორგი – როგორ და სიდედრი ანოს გამოყვება! ანო ბაბაღეს უსაყვარლესი შვილია!

სიმონ – ხუმრობ?

გიორგი – ბოლოსდაბოლოს, სამართალმა პური ოდესღაც ხომ უნდა ჭამოს. ექვსი წელი ამ ჯოჯოხეთში ვიტანჯებოდი! დროა შემცვალო! მამო! მამო! შამპანური!

ყველა – *(სიმონის გარდა)* შამპანური! შამპანური!

სიმონ – *(სავარძელში ჩაესვენება)* რა ჯანდაბა მინდოდა ამ ტფილისში? ნეტა, რას მოვეხეტებოდი?! *(დარბაზს)* ჭკუა ისწავლეთ ახლადჩამოსულეებმა! *(ყველანი მიესვენან, ულოცავენ)*.

სინათლე ქრება. ინთება. სცენაზე ყველა მონაწილე. ისინი თავს უკრავენ მაყურებელს და ნელ-ნელა სტოვებენ სცენას, იმ ანგარიშით, რომ ბოლო გიორგი და სიმონ დრავაძე არიან. ფარდა

დაიდრება თუ არა სცენაზე გამოვარდება ბაბაღე.

ბაბაღე – სდექ! ფარდა არ დახურო! *(დარბაზს) კაცების მარტო დატოვება არ შეიძლება! (შემოვლენ დანარჩენი მსახიობებიც. როცა ყველა შევროვდება, სიმონი წინ წარდგება.)*

სიმონი – *(ბაბაღეს) კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! (დარბაზში ჩადის და ვითომ ჩვეულებრივი მაყურებელია, ტაშს უკრავს. ბაბაღე გამოეკიდება, მაგრამ სიმონი დარბაზიდანაც ვარბის! ბაბაღე სცენაზე დარჩება).*

ფარდა